ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №53 (1683) 18–24 აგვისტო, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

# გვაქვს თუ არა უფლება ვიკითხოთ:
# ვის ემსახურება ჩვენი ხელისუფლება?



მეორე გვერდი

## ედუარდ შევარდნაძე სამაჩაბლოშიც დაუშვებს გალის ტრაგედიას?!.




მე-2 გვერდი

## კომენტარი პრეზიდენტის 10 აგვისტოს რადიო-ინტერვიუზე

მეოთხე გვერდი

### ინტერვიუ

## «...ამას ნამდვილი და არა მარიონეტული ხელისუფლება სჭირდება»



მეორე გვერდი

### ინტერვიუ



## აფხაზეთში სომხებს ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას გვაიძულებენო, ჯავახეთში?...

მესამე გვერდი




## ტექსტები ინტერნეტში აფხაზეთის შესახებ

მე-6 გვერდი

## ქართველი მთამსვლელები ჰიმალაებში მიემგზავრებიან



მე-7 გვერდი

## ესკულაპისა და თემიდის „კოოპერატივი"

მე-11 გვერდი

## ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ

მე-10 გვერდი



Photo News

### ხმა ხალხიდან

## ზღაპარი მაინც იყოს!... 5

# ...ამას ნამდვილი და არა მარიონეტული ხელისუფლება სჭირდება




**ამ ბოლო ხანს ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონში მომხდარმა ინციდენტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს ინტერვიუ ბ-ნ ნოდარ ნათაძესთან ამ თემაზე, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

**— რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ამ ბოლო კვირეების მანძილზე იმ დრამატულ სიტუაციაში, რომელიც დღეს საქართველოში და მის გარშემოა შექმნილი?**

— პირველი: ჯავახეთის ინციდენტი, და აი, რატომ, საქმე ის გახლავთ, რომ დღეს საქართველოს ერთადერთი. აბსოლუტურად შეუვალი დაცვა აქვს. სხვა ყველა მეტ-ნაკლებად მყიფეა ამა თუ იმ მიზეზის გამო. ეს არის ყრუ იურიდიული დაცვა. საქართველომ არანაირ პირობებში და არანაირი მოსაზრებით არ უნდა მოახდინოს იურიდიული უკანდახევა არც ერთ საკითხში. ანუ მან არ უნდა შექმნას არც ერთი დოკუმენტი, რომელიც მისი ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული. ოკუპანტი მოვა და წავა, ტანკები მოვა და წავა, ბანდებიც მოვა და წავა, მაგრამ ქაღალდები რჩება. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ეს ჩვენ მეგობართა რეკომენდაციაცაა ძალიან და ძალიან კომპეტენტურ დასავლელების წრიდან. რუსეთმა ეს, რასაკვირველია, იცის. ამიტომ იგი ცდილობს პირველ ყოვლისა, რომ ჩვენი ეს ყრუ იურიდიული თავდაცვა გაარღვიოს. შევარდნაძის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და დავალება, მე მგონი, სწორედ ესაა. მეთოდი შემდეგია: ჯერ იქმნება მძიმე სტრატეგიული და ეკონომიკური სიტუაცია, მერე შევარდნაძე ამბობს „რა ვქნათ, სხვა გზა არ გვაქვსო" და უკვე იურიდიულ დათმობას ახორციელებს. ასე მოხდა აფხაზეთის ომის ხელოვნური დაწყება, წაგება და შემდეგ — კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია და საქართველოს „ესენგეში" ჩათრევა. ახლა დღის წესრიგშია „ოსეთის" შექმნა, აფხაზეთში კაპიტულაციის რაღაცა ფორმის გამონახვა და დანარჩენი საქართველოს ფედერალიზაცია; მართალი გითხრათ, ჯავახეთის ინციდენტი რომ მოხდა, მე იგი სწორედ ასეთი „ლონისძიების" დაწყების ნიშნად ჩავთვალე. დღის წესრიგიდან მოხსნილი არც ახლა მგონია.

**— ეს უფრო მნიშვნელოვანია, თქვენის აზრით, ვიდრე კაბინეტის „გადახალისება"?**

— დიახ, უფრო. მაგრამ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი არ არის ჩვენთვის, რაც აზიაში ხდება. თალიბებმა ავღანეთში მრავალხელისუფლებიანობას ბოლო მოუღეს. ისინი ძირითადად პუშტუნები არიან — ავღანეთის ძირითადი ეროვნება. ოთხი მილიონი პუშტუნი პაკისტანში ცხოვრობს. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ნორმებით განვითარებულ ქვეყანას დიდი ომის დროს შეუძლია თავისი მოსახლეობის ერთი მეათედი თოფქვეშ დააყენოს. განვითარებულ ქვეყანას შეუძლია ნაკლებ განვითარებული მცირე ქვეყნიდან თოფის ქვეშ მოსახლეობის ოცი და მეტი პროცენტი დააყენოს. მაშასადამე, ზეგანვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ მარტო თორმეტმილიონიანი პუშტუნი მოსახლეობიდან (ავღანეთის პუშტუნებიანად) ორმილიონიანი არმია გამოიყვანონ, ნახევარმილიონისა კი სულაც არ გაუჭირდებათ. დაძლევს ამას რუსეთი, რომელიც თავის არმიის ოც დივიზიამდე შეკვეცას გეგმავს? რუსეთი თავის იმპერიულ ინტერესებს შუა აზიაში სამხედრო ძალით ვერ დაიცავს. ძალის გარეშე კი განვითარება იქით წავა, რომ ირანულენოვანი ტაჯიკეთი ძალიან მალე აიღებს ხელს კომუნისტურ-პრორუსულ ორიენტაციაზე და შუა აზიაში ავღანეთის ჩრდილოეთისაკენ „გაგრძელებად", დასავლეთის ფორპოსტად იქცევა, რომელიც რუსეთს გაუნახევრებს ჩინეთის საწინააღმდეგოდ დაყენებული „ზღუდის" გეოპოლიტიკურ ფუნქციას. მიამატეთ ამას რუსეთის მძიმე ფინანსური კრიზისი და დაინახავთ, რომ რუსეთი თავისი მსოფლიო როლის კიდევ ერთი დიდი საფეხურით ჩამოქვეითების უშუალო საფრთხის წინაშე დგას. აი, სწორედ ასეთ დროსაა, აგრესიული სახელმწიფოები რომ სამხედრო ავანტურის ცდუნებას განიცდიან ხოლმე. თუ შენიშნეთ რუსულ ტელევიზიაში, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეევმა საქართველოში არსებული რუსული ბაზების ამოქმედებაზე ლაპარაკი დაიწყო. საშიში სწორედ ესაა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ათი ათასი ბირთვული მუხტი საკუთარ არსენალში ისეთი ფაქტორია, რომელმაც შეიძლება გენერალსაც და სამოქალაქოსაც ჭკუა დაუბნელოს! ეს არ მოხდება, მე მგონი, მაგრამ ერთ-ერთ ვარიანტად კი მუშავდება ასეთი აგრესიის გეგმა და ამ პირობებში საქართველოს სათავეში რუსული აგენტურის ყოლა განსაკუთრებით საშიშია.

**— „ახალ თაობაში" პ. გიორგაძის ინტერვიუ მოთავსებული, რომელიც ა. აბაშიძის მიერ თავის გუნდში მსხვილ-მსხვილი პრორუსული „ელემენტების" ჩართვის „ნათელ პერსპექტივას" სახავს.**

— დიახ, შესაძლებელია, რომ იქ კარგა მოზრდილი წითელი მუშტი იკვრებოდეს. მისი წამალი ერთია: ესაა ამ მუშტისათვის ჟანგბადის გადაკეტვა რუსული ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანის სახით. ამისთვის წმინდად პოლიტიკური ნაბიჯები კმარა. ოღონდ ამას ნამდვილი და არა მარიონეტული ხელისუფლება სჭირდება.

**ესაუბრა**
**სერგო ჯანაშია**

# გვაქვს თუ არა უფლება ვიკითხოთ: ვის ემსახურება ჩვენი ხელისუფლება?

ჩვენი უსახური მთავრობის უსუსურობით გათამამებული აფსუა სეპარატისტები და მათი მფარველები უკვე ისე გათავხედდნენ, რომ დაპყრობილ ტერიტორიებსაც არ სჯერდებიან და პრეტენზიებს აცხადებენ ენგურსგამოღმა მიწებზეც. ამისი ნათელი დასტურია თუნდაც ათიოდ დღის წინანდელი მათი გალაშქრება ზუგდიდის რაიონის ს. რუხზე, სადაც რამდენიმე სახლი დაწვეს, იქაური მცხოვრები დაჭრეს და კვლავ გადაღმა, „საკუთარ მიწაზე" დაბრუნდნენ.



აფსუათა გათამამება, ბუნებრივია, მათი მფარველების წყალობით მოხდა, ანუ იქ მდგომი რუსი „მიროტვორცებისა" და მათი მოსკოველი ხელმძღვანელების წაქეზებით. ეტყობა, არ ეყოთ აფსუებსა და მათს ზურგსუკან მდგომ ჩრდილოელ აგრესორებს აფხაზეთის მიტაცება. ახლა, ისე ჩანს, სამეგრელოს რაიონების ხელში ჩაგდება სურთ და ამით, ალბათ, მთელი ზღვისპირეთის დაპატრონება. ამას მოვლენათა შესაძლო განვითარება გვაფიქრებინებს და ის გეგმაც, რომელიც ჯერ კიდევ პეტრე პირველმა უანდერძა შთამომავლობას.

რუს-აფსუათ რომ საკუთარი ინტერესი ამოძრავებთ და მის განხორციელებას ცდილობენ, ეს არაა გასაკვირი, მაგრამ გასაკვირია, რა ინტერესები ამოძრავებს ჩვენს ხელისუფლებას და რის განხორციელებას ცდილობს.

კაცმა რომ თქვას, თუ ამ ხელისუფლების თითქმის შვიდწლიანი მმართველობის შედეგებით ვიმსჯელებთ, კატეგორიულად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამათ (ხელისუფლებაზე ვამბობ) ეროვნული ინტერესები ნაკლებად ამოძრავებთ და უფრო კოსმოპოლიტიზმ-ინტერნაციონალიზმისაკენ არიან გადახრილები, ანუ საკაცობრიო იდეებს ეპოტინებიან და მსოფლიოს მოწყობის ახალ მოდელზე უფრო შესტკივათ გული, ვიდრე საკუთარ სამშობლოზე, მის ჭირ-ვარამზე. ხელისუფლება, რომელსაც ქვეყანა თავზე ენგრევა და პრეზიდენტი, რომელმაც ვერაფერი გააკეთა ქვეყნისთვის, თვითკმაყოფილი სახეებით გვმოძღვრავს ტელეეკრანიდან და განსაკუთრებით კმაყოფილი სახეები ჰქონდათ (პრეზიდენტ-პარლამენტს) მინისტრების გადაყენებ-გადმოყენების დროს. ერთგან ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: ძველი მთავრობის ახლით შეცვლა მხოლოდ კოსმეტიკური საშუალებაა ხალხის მოსატყუებლად, პრეზიდენტის ტახტის გასაძლიერებლად და არამც და არამც ქვეყნის სასიკეთო ნაბიჯი, რადგანაც ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკურ კურსს არც მინისტრები, არც სახელმწიფო მინისტრი საზღვრავს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტი, ანუ მთავრობაში არ არის და არც იქნება პიროვნება, რომელიც დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას შეძლებს. ამას შევარდნაძე არ დაუშვებს.

**პრეზიდენტი**, ჩვენდა სამწუხაროდ, **გვეჩვენება**, რომ კარის **ინტრიგებში გაცილებით** გამოცდილია, ვიდრე ქვეყნის მართვაში და ეს მისი **ხელმძღვანელობის** შედეგებით აშკარად ჩანს.

გაგრძელება მე-4 გვ.

**ხმა ხალხიდან**

# ედუარდ შევარდნაძე სამაჩაბლოშიც დაუშვებს გალის ტრაგედიას?!.

მეშვიდე წელია ფაქტობრივად ხელისუფლება ათასგვარი დაპირებებით გვკვებავს სამაჩაბლოდან დევნილებს. ყოველ, ქართული მხარისათვის უსარგებლო მოლაპარაკებას, დაწყებული დაგომისის ხელშეკრულებიდან დღემდე, გვიხატავენ როგორც ქართული პოლიტიკის გამარჯვებას. ხელისუფლების თვალთმაქცობა იქამდეც კი მივიდა, რომ მსოფლიოს ამცნობენ, თითქოს ოსურ-ქართული კონფლიქტი მოგვარებულია და ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე იმასაც აცხადებს, რომ „სამხრეთ ოსეთში" დევნილები მასიურად ბრუნდებიან". სინამდვილეში კი მუდმივ საცხოვრებლად თავის სამკვიდროში არც ერთი ქართველი დევნილი არ დაბრუნებულა. ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ შიდა ქართლს შევარდნაძე ყველა გამოსვლაში დაჟინებით „სამხრეთ ოსეთად" მოიხსენიებს, თითქოს არ იცოდეს, რომ ბუნებაში სამხრეთ ოსეთი არ არსებობს. რას ნიშნავს ეს, ყველასათვის გასაგებია.




დევნილთა მასიურ დაბრუნებად თუ იმ ანკეტებს თვლიან, რომელსაც ავსებინებენ დევნილებს ირაკლი მაჭავარიანის კომისიაში ზარალის ანაზღაურებისა და მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების თაობაზე, მაშინ ილუზია ლტოლვილთა მასიური დაბრუნების შესახებ ოდნავ მაინც უახლოვდება ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის განცხადებას. თუ რას წარმოადგენს აღნიშნული ანკეტა და რას გულისხმობს, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

სათაურად აღნიშნულ ანკეტას უზის „Анкета добровольной репатриации". (ანკეტა რუსულად ივსება) რას ნიშნავს „რეპატრიაცია საკუთარი სურვილით", განა არსებობს იძულებითი რეპატრიაცია? ამ ანკეტის მომგონთათვის, ეტყობა, არსებობს და კიდევაც ახორციელებენ ამას. ალნიშნული ანკეტა ფაქტიურად არის დევნილთა წაქეზება ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასაბრუნებლად, რასაც თავის ყოველ გამოსვლაში შიდა ქართლის შესახებ ახორციელებს ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე. წაქეზება კი ერთ-ერთი ფორმაა.

თუ დევნილთა სამკვიდროში შექმნილი იქნება უსაფრთხოების გარანტია, რაღა საჭიროა ხაზი გაესვას საკუთარ სახლში საკუთარი ნებასურვილით დაბრუნებას. ე. ი. ამ აქტის ორგანიზატორები უფლებას იტოვებენ განახორციელონ იძულებითი რეპატრიაცია, მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკური ვითარება იქნება შიდა ქართლში. რა პოლიტიკური ვითარებაც იქნება, ჩანს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის „სამხრეთ ოსეთის" დაჟინებული ხსენებიდან და ანკეტის ზედა მარჯვენა კუთხეში გაკეთებული წარწერიდან: "Компетентние

გაგრძელება მე-5 გვ.

ინტერვიუ

# აფხაზეთში სომხებს ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას გვაიძულებენო, ჯავახეთში?...



**ამ რამდენიმე დღის წინ ჯავახეთში მორიგი მარცხი განიცადა საქართველოს სახელმწიფომ. იქ მაცხოვრებელმა სომხებმა აიძულეს საქართველოს ხელისუფლება, უარი ეთქვა ჯავახეთში მცირე ქართული სამხედრო რაზმის შეყვანაზე, რომელსაც იქ რუსებთან ერთად საწვრთნელი ვარჯიშები უნდა ჩაეტარებინა. ჯავახეთის მტკივნეულ პრობლემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ცნობილი არმენოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე აბდალაძე.**

— **რა შეფასებას მისცემდით 12 აგვისტოს ჯავახეთში, კერძოდ კი ახალქალაქში მომხდარ ინციდენტს და მის გამომწვევ მიზეზებს?**

— სამწუხაროდ, მომხდარი ფაქტი შემთხვევითი არ ყოფილა, ეს მოვლენა დიდი ხანია მზადდებოდა. უფრო სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ არსებობს იმის საშიშროება, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბოს და თუ ჯავახეთში შეტაკება მოხდება ქართველებსა და სომხებს შორის, ჩემი აზრით, აქ დატრიალებული საშინელება აფხაზეთის მოვლენებზე კიდევ უფრო მეტად ტრაგიკული იქნება. ჩვენს პრესაში ხშირად ვრცელდება აზრი იმის შესახებ, რომ აფხაზეთში სომხურ „ბაღრამიანის" ბატალიონს, სომხურ საზოგადოებებს „კრუნკს", „მაშტოცს" აიძულებენ იბრძოლონ და იმოქმედონ ქართველების წინააღმდეგ. ისმის კითხვა: ჯავახეთის სომხებს ვინ აიძულებს იბრძოლონ ქართველების წინააღმდეგ? ასე რომ, დიდი ხანია ჩაფიქრებულია, ჯავახეთი (საქართველოს უძველესი მიწა-წყალი, რუსთაველის მშობლიური მხარე) შეუერთონ სომხეთს. ამ წინასწარ განზრახული, გეგმაზომიერი საქმიანობის შედეგად სომეხთა, ჩვენდა სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანმა წრეებმა მიაღწიეს იმას, რომ დღეს ჯავახეთში 98% სომეხი ცხოვრობს, მაშინ, როდესაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, აკადემიკოსი გიულდენშტედტი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ჯავახეთი არის ქართული მხარე. იმ დროს ჯავახეთში თურქეთის იმპერია ბატონობდა, რომელიც იქ მე-16 საუკუნეში გაბატონდა. ცნობილია ისიც, რომ თურქთა ბატონობის უღელი საშინელებას წარმოადგენდა დაპყრობილი ქართული მხარეებისათვის, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ქართული სახე დაეკარგათ ჯავახეთისთვის. ამას განაპირობებდა ისიც, რომ სანამ ჯავახეთს სრულად აითვისებდნენ, უნდა აეთვისებინათ თურქეთთან ტერიტორიულად უფრო ახლოს მდებარე ქართული მხარეები: ტაო, კლარჯეთი, კოლა-არტაანი, სამცხე (ახალციხის მხარე) და სხვა. ამ მხარეების ქართველთა თავდაუზოგავმა ბრძოლამ, წინააღმდეგობამ ხელი შეუწყო იმას, რომ ჯავახეთს შეენარჩუნებინა თავისი ქართული სახე. მაშასადამე, ხსენებული მხარეების ქართველები მსხვერპლად შეეწირნენ ჯავახეთის გადარჩენას. ჯავახეთს ქართული სახე დააკარგვინეს საქართველოში რუსეთის გაბატონების შემდეგ, ე. ი. მე-19, მე-20 საუკუნეებში. უფრო კონკრეტულად კი, მე-19 საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერიამ ხელი შეუწყო ჯავახეთიდან მაჰმადიანი ქართველების გადახვეწას თურქეთში, უფრო მეტიც, უარი უთხრეს ქრისტიან ლტოლვილ ქართველებს ჯავახეთში დაბრუნებაზე და იქ კომპაქტურად ჩაასახლეს სომხები. მაგრამ მეფის რუსეთის დროს ჯავახეთში სომხების რაოდენობა არ გადასცილებია დაახლოებით 70%-ს. ამასთანავე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალ ანექსიამდე, ჯავახეთში ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჩვენი ეროვნული მოღვაწეები ახერხებდნენ ეროვნული ქართული პოზიციის, სულისკვეთების შენარჩუნებას.

1921 წლიდან კი მდგომარეობა თანდათან გაუარესდა და ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი დღეს სახეზეა. ე. ი. ჯავახეთის ქართული სახის გაქრობა საბოლოოდ კომუნისტური დიქტატურის დროს მოხდა. ჯავახეთის მკვიდრი ქართველები აიძულეს ან გასომხებულიყვნენ, ან გამოქცეულიყვნენ იქიდან. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც ფაქტობრივად ისევ კომუნისტური ორიენტაციისაა, სამწუხაროდ, რეალურად არაფერი არ გაუკეთებია იმისათვის, რომ ჯავახეთი არ ჩამოსცილდეს დედასამშობლოს.

ჯავახეთში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვინც არ უნდა შეეცადოს იქ რაიმე ღონისძიების ჩატარებას, ქართული ძალოვანი სტრუქტურები იქნებიან, თუ სხვა ინსტანციები, იქიდან ისევე კუდამოძუებულებს გამოაბრუნებენ, როგორც რამდენიმე დღის წინ მოხდა.

— **უფრო ადრინდელ ხანებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, როგორ ფიქრობთ, 1992 წელს მოსულ ქვეყნის ხელისუფლებას რისი გაკეთება შეეძლო ჯავახეთის პრობლემათა მოსაგვარებლად?**

— ძალიან დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული სიტუაციის გაჯანსაღება ჯავახეთში იმ დროისათვის შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ, ჩემი აზრით, რაღაც მაინც უნდა გაკეთებულიყო. ქართველი ერის უძველესი ტრადიციის მიხედვით, უცხოეთიდან მომავალი წმიდა ნინო საქართველოს მხარეებიდან პირველად ჯავახეთში შემოვიდა და თავფარავნის ტყის პირას დაივანა. ჯავახეთში დღემდე შემორჩენილია ქართული კულტურის უამრავი უძველესი ძეგლი, რომელსაც სომხური მოსახლეობა, სამწუხაროდ, უდიერად ეპყრობოდა და ეპყრობა. ამ მხრივ ქართულ ეკლესიას მართებდა აქტიურობა გამოეჩინა ამ მხარეში ქართული მართლმადიდებლური ტრადიციების აღდგენაში და ამ საქმეში მისთვის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაეჭირა მხარი. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ჯავახეთში მოქმედი გამხდარიყო ქართული ეკლესია-მონასტრები.

ცნობილია, რომ აჭარაში სტიქიური უბედურებების შემდეგ უსახლკაროდ დარჩენილი აჭარლების ერთი ნაწილი ჩაასახლეს ჯავახეთში, მაგრამ მათი უმრავლესობა იძულებული გახადეს, მიეტოვებინა ეს მხარე და უკანვე გამობრუნებულიყო. განა ხელისუფლებას ყოველგვარი ძალისხმევით არ უნდა ეზრუნა, რომ ეს არ მომხდარიყო?! როგორც ვხედავთ, ამ საკითხების მოგვარებაში ხელისუფლება პარალიზებული აღმოჩნდა, რომ არაფერი აღარ ვთქვათ უფრო ქმედით ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც შეიძლებოდა ამ უძველეს ქართულ, რუსთაველის მშობლიურ მხარეში. მაგალითად, ჯავახეთში უნდა ჩაესახლებინათ სტიქიით დაზარალებული სვანების ერთი ნაწილიც. ის ხელისუფლება, რომელსაც ასეთი პრობლემების გადაჭრაც არ შეუძლია, უნდა გადადგეს და ასპარეზი დაუთმოს ეროვნულ ხელისუფლებას. სხვათა შორის, იგივე სომხეთში, რომელთან ჯავახეთის მიერთებასაც ასე ცდილობენ, ქოჩარიანის პრეზიდენტად არჩევამდეც, საქართველოსგან განსხვავებით, ეროვნული ხელისუფლება ჰყავდათ, მაგრამ უფრო მეტად ეროვნული მოინდომეს და ამიტომ გადააყენეს ტერ-პეტროსიანი.

გარდა ზემოთ თქმულისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ცდილობდა, გულდაგულ დაემალა სიმართლე ქართველი ხალხისათვის იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა ჯავახეთში. სიმართლის დამალვას კი არასოდეს სიკეთე არ მოუტანია. პირადად მე 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე მთელი ძალ-ღონით ვცდილობ, მოვიპოვო სომხეთში გამოსული სამეცნიერო თუ პოპულარული ლიტერატურა საქართველოს შესახებ, მაგრამ ამას ვერ მივაღწიე. უფრო მეტიც, ახალქალაქში გამოდის იქ არსებული საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საზოგადოება „ჯავახქის" (სომხები ჯავახეთს ჯვახქს ეძახიან) გაზეთი „ჯავახქ" (სომხურენოვანი). ამ გაზეთის მოსაპოვებლად დახმარებისთვის ვის აღარ მივმართე. მხოლოდ ცხონებულმა ვახტანგ გურგენიძემ მოიპოვა და მათხოვა ამ გაზეთის შვიდი ნომერი, რომლებიც სავსე იყო ანტიქართული გამოხდომებით. დანარჩენი ნომრები დღემდე ჩემთვის ხელმიუწვდომელია. ჩვენი ხელისუფლება რომ თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, ქართველ არმენოლოგ-ისტორიკოსს ამ გაზეთის მოპოვება არ უნდა შეეძლოს?

— **კონკრეტულად რა საქმიანობას ეწევა საზოგადოება „ჯავახქ" და რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს მათ ქმედებებს?**

— ჯერ ერთი, გამოსცემს ანტიქართულ გაზეთს, გარდა ამისა, ის ეწევა აქტიურ პროპაგანდას სიტყვით და საქმით, რათა ჯავახეთმა ფაქტობრივად დღესვე მოიპოვოს დამოუკიდებლობა, ხოლო ამის შემდეგ მალევე გაფორმდება კიდეც მისი ოფიციალური შეერთება სომხეთთან. საზოგადოება „ჯავახქის" და მისი ამქრის გეგმები უფრო შორსაც მიდის — ჯავახეთი მათთვის მოქმედების პირველი ეტაპია. მათ რეალურად ესახებათ, ეზმანებათ სომხეთის დაშნაკური მთავრობის (1918-20 წლები) გეგმები, რომლის მიხედვითაც სომხეთმა უნდა შეიერთოს სამცხე (ახალციხის მხარე), აჭარა თუ მისი ერთი ნაწილიც, ყოველ შემთხვევაში ბათუმი, რათა ამით სომხეთმა მოიპოვოს შავ ზღვაზე გასასვლელი. ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ სომხებმა იფიქრონ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაზე, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს საქართველოს ძირძველი, ქართველთა სისხლით მორწყული მიწების ხარჯზე. თუ სომხები ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან, მათ კარგად უნდა გაიცნობიერონ ის ფაქტი, რომ საქართველოს სომხებისათვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია.

იმ შავბნელ საუკუნეებში, როდესაც სომხები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი სამშობლო (მე-19 საუკუნის დამდეგისათვის სომხეთი თითქმის მთლიანად დაცლილი იყო სომხური მოსახლეობისაგან და რუსეთის დახმარებით დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყანას), მათი დიდი ნაწილი სწორედ საქართველოს შემოეხიზნა. მოყოლებული მე-13 საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა უარესდება, ჩვენს ქვეყანას ძალიან უჭირდა, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ქართველებს რაც ჰქონდათ — ქართული მიწის ნაყოფს, სისხლით და ცრემლით მოწეულს, — შემოხიზნულ სომხებსაც უნაწილებდნენ. ამასთანავე დასუსტებული საქართველოც, შეძლებისდაგვარად, სომხეთის დაცვასაც ცდილობდა საუკუნეთა განმავლობაში.

— **ამჟამად მრავალი ადამიანი იმედებს ახლად შეცვლილი მთავრობის გონივრულ ქმედითობაზე ამყარებს, იქნებ სწორედ მათ გადადგან რეალური ნაბიჯები პრობლემის მოგვარების საქმეში?**

— მე, პირადად, არ მომწონს თვით შევარდნაძის პოლიტიკური კურსი, ყოველ შემთხვევაში, ეს

გაგრძელება მე-7 გვ.

# გამოიცა ჟურნალი «საქართველო»

ქართველ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა ფრიად კარგი საქმე გააკეთა. გამოიცა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი „საქართველო", რომლის მთავარი რედაქტორია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ჟორჟანაშვილი**. ჟურნალის დამფუძნებლებისა და სარედაქციო საბჭოს მიზანია, დაეხმაროს მკითხველებს ობიექტურად გააშუქონ ქვეყნის წარსული, დღევანდელობა და გაერკვნენ ახლო მომავლის ორიენტირებში. ჟურნალ „საქართველოს" ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იქნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგია და ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებების დღევანდელი მდგომარეობის პირუთვნელი გაანალიზება. ობიექტური, დემოკრატიული კრიტიკა, რომლის წინაშეც ყველა მეცნიერი, მიუხედავად მათი ტიტულებისა, თანაბარი იქნება და ნიჭიერი, შემოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრდებისათვის კარების ფართოდ გაღება — ეს გახლავთ ჟურნალ „საქართველოს" მესვეურთა მთავარი ამოცანა.




ვუსურვებთ ჟურნალის მთავარ რედაქტორს, მის სარედაქციო საბჭოს და ავტორთა წრეს ღირსეულად გაეგრძელებინოთ ის ტრადიციები, რაც დიდმა ილიამ და ივანე ჯავახიშვილმა დაამკვიდრეს თავის დროზე.

**გაზეთ „საქართველოს" რედაქცია**

სატირა

# პომპეუსიდან „მოძმე" რუსამდე

პომპეუსიდან „მოძმე"
რუსამდე,
ვისაც შეეძლო გვსპობდნენ,
გვარბევდნენ,
უფრო უარესს ვის რას
უზამდნენ,
ხალხს ხოცავდნენ და
მიწას გვართმევდნენ.
მტრისგან ნასროლი ტყვია,
თუ ხმალი,
ქართველი კაცის გულში
გაჩრილი,
არ არის მხოლოდ
წარსულის კვალი
და ისტორიის შავი
აჩრდილი.
ყველა კანიბალს, ყაენებს,
შაჰებს
„მოძმე" ერებმა აჯობეს
მგონი,
ზურგი აქციეს ჩვენს ძმობას
ნაქებს,
კვლავ გვათქმევინეს: „ახ,
დრონი, დრონი!"
ჯერ „რუსთაველი" მოგვირ-
წყეს სისხლით,
მერე სოხუმი და
სამაჩაბლო,
მოაკვლევინა მერე ძმა ძმის
ხმლით,
მოსულმა სამტროდ და
საყაჩაღოდ.



ვამბობ ხმამაღლა, თუ ვინმე
ამყვა,
ქართველი ხალხის
დასარწმუნებლად,
მხარში დამდგომი არავინ
არ გვყავს,
წართმეულების დასაბრუნე-
ბლად.
ჩვენი მარცხი რომ აფხაზს
დაბრალდა,
ლამის სირცხვილით
მოვიკლა თავი,
მერე, ნარბევი რუსებს
ჩაბარდა
მგელს საპატრონოდ
მიუგდეს კრავი.
დღეს სამშვიდობო
დაარქვეს ძალებს
და რუსის ჯარი
ქართველებს „მწყემსავს",
ოღონდ ეგენი წავიდნენ
ხვალე
და ჩვენ თავადვე
მივხედავთ ჩვენს თავს.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

# კომენტარი პრეზიდენტის 10 აგვისტოს რადიოინტერვიუზე

### პრეზიდენტი მართალს ამბობს

უყოყმანოდ გვჯერა პრეზიდენტისა, რომ იგი იალტაში ბრძანდებოდა და უკრაინის პრეზიდენტ კუჩმას შეხვდა. მაშინაც უყოყმანოდ ვერწმუნებით



მას, როცა პრეზიდენტ კუჩმას დაბადების დღის მისალოცად „ესენგეს" მონაწილე სხვა ქვეყნებიდან ჩასულ პოლიტიკოსებს ასახელებს. ჩვენ გაკვირვებას იწვევს მხოლოდ ერთი რამ: რატომ არაფერს ბრძანებს პრეზიდენტი იმ ქვეყნების პოლიტიკოსთა იქ ყოფნისა და არყოფნის შესახებ, რომლებიც, მათდა საბედნიეროდ, „ესენგეში" არ არიან? ხომ არ მეტყველებს ეს იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მართლაც დაიჯერა, თითქოს ყოფილი „ხალხთა საპყრობილოს", ამჟამად „ესენგეს" შემადგენელ ქვეყნებს მეტი საერთო აქვთ ერთმანეთში, ვიდრე სხვა ქვეყნებთან — მეზობელთან თუ არამეზობელთან — რომელნიც არასდროს ამ საპყრობილეში არ ყოფილან?

### პრეზიდენტი ცდება

იგი ცდება, პირველ ყოვლისა, მაშინ, როცა რამდენიმე კორუმპირებული თანამდებობის პირის დაუსჯელად გადაყენებას და მათ ამდენადვე უპრესტიჟობით შეცვლას (ძირითად) ხელისუფლებას და კურსის სიძლიერის ნიშნად თვლის. „ალმასრულებელი ხელისუფლების განახლებაზე" ლაპარაკი, როცა ამ ალმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, სახელდობრ, პრეზიდენტი განუახლებლად სუფევს თავის თანამდებობაზე, ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც იმედი, რომ თმის გაკრეჭამ პაციენტ მამაკაცს ან პომადის წასმამ პაციენტ მანდილოსანს შეიძლება გამსკდარი აპენდიქსის ამოკვეთა შეუცვალოს. ასეთი მარტივი „გულის გაკეთებით" დღეს არც ერთი განვითარებადი თუ ველარ განვითარებადი ქვეყნის არც ერთი პროვინციის მაცხოვრებელი აღარ ტყუვდება და პრეზიდენტი კიდევ ერთხელ ცდება, როცა ამ მარტივ „საპროპაგანდო" ილეთს მრავალჭირნახულ საქართველოს სთავაზობს. ცოტა არ იყოს, ეჭვისა და ღიმილის გამომწვევია ამ თემაზე პრეზიდენტის პარადულ მსჯელობაში ის, რომ სანიმუშო ნებაყოფლობითა და კომკავშირული დისციპლინით გადამდგარ მინისტთა შორის ვილაცას, თურმე, მაინც აუტეხავს „გნიასი" (პრეზიდენტის გამოთქმაა), „სკანდალი", „შანტაჟი", სკამზე მიწებება მოუნდომებია და პოსტ ფაქტუმ პროტესტის ნიშნად ტყეში გავარდნილა. როგორც ჩანს, პრეზიდენტის სახელოვანი გუნდის ერთსულოვნებას ბზარი შეჰპარვია და ყოველდღიური ტკბილი ლუკმის ზემოხსენებულ პარტიულ დისციპლინაზე მაღლა დაყენება განუზრახავთ. რა მოიმკეს? არ გეგონოთ, რომ არაფერი. ისინი ფრთხილად გადასვეს გვერდზე, ისევ და ისევ კარგა რბილ სავარძლებში და, თუ პრეზიდენტს დავუჯერებთ (არდაჯერების საფუძველი კი არა გვაქვს), ახლა ღირსების გამომხატველი სხვადასხვა სიმბოლოებით (ალბათ, ორდენებით) დაჯილდოებას უპირებენ.

არც ერთი სულდგმული, გარდა კაციჭამიებისა (რაც, თუ არ ვცდებით, საერთაშორისო დონეზე აკრძალული თუ არა, დაგმობილი მაინც არის) თავის მსგავსის ტყავს არ დახევს. დაუსჯელად გადასმულ-გადმოსმულ თანამოგუნდეებსა და თანამოზიარეებს შეუძლიათ მშვიდად იყონ: სანამ ხელისუფლება ძირეულად არ შეიცვლება, მათ მათს ნაქურდალ „მწვანეებს" და ლარებს არავინ მოჰკითხავთ!

ამ მხიარული თემის გარდა პრეზიდენტი უფრო სერიოზულ თემასაც ეხება. იგი ბრძანებს, რომ ჩვენი ეკონომიკა ორ საყრდენზე — საბაჟო და საგადასახადო სამსახურზე — დგას, რომ ბრძანებს, ამაში მართალია, მაგრამ მწუხარების, სინანულისა და განგაშის გარეშე რომ ბრძანებს, ამაში კი შეცდომას უშვებს. საბაჟო შემოსავალი, რაც უნდა ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდეს ეკონომიკურად და სოციალურად ჯანსაღ ქვეყანას, მისთვის მხოლოდ დამატებითი შემოსავალია (ძირითადი იგი მხოლოდ



პიროვნებისა და კლანისათვის შეიძლება იყოს, რომელნიც, სახარების მეზვერებისა არ იყოს, ამ საბაჟოებზე „სხედან"). გადასახადთა სისტემა სახელმწიფოსთვის დიალაც მნიშვნელოვანია, მაგრამ გადასახადთა ამოღების ამოცანას წინ უსწრებს იმის შექმნისა და განვითარების ამოცანა, რაც ამ გადასახადებით უნდა დაიბეგროს — სახელდობრ, წარმოების განვითარებისათვის პირობების შექმნის ამოცანა. საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი პოლიტიკა წარმოების — პირველ ყოვლისა კი, ინდუსტრიული წარმოების ჩაკვლის პოლიტიკაა. არარსებული წარმოებიდან კი რაგინდარა სრულყოფილი ინსპექცია მასში არარსებულ მოგებას ვერ ამოტუმბავს.

გერმანულ კლასიკურ ლიტერატურაში ასეთი იგავ-არაკი არსებობს. ძაღლი ეუბნება მუშა ცხენს, პატივი მომაგე, რადგან მე რომ სახლ-კარს ასე არ ვდარაჯობდე, ყველაფერს ქურდები წაიღებდნენ. ცხენი პასუხობს, პატივი შენ მე მომაგე, რადგან მე რომ არ ვმუშაობდე, შენც სადარაჯო არაფერი დაგრჩებოდაო. ეს იგავ-არაკი XVIII საუკუნის მოწინავე ევროპის სულისკვეთებას ასახავს. ამ ეპოქას ევროპაში წინ უსწრებდა ე. წ. „განათლებული აბსოლუტიზმის" ეპოქა, რომელმაც საზოგადოებას კანონის პატივისცემა ასწავლა და აბსოლუტიზმის სისტემის დამანგრეველი რევოლუციური გარდატეხების მოთხოვნილებაც შეუქმნა. ვაი, რომ საქართველოს ეკონომიკურსა და პოლიტიკურ წყობას დღეს მხოლოდ „გაუნათლებელი აბსოლუტიზმის" სახელი ეკუთვნის!

### პრეზიდენტი დუმს

პრეზიდენტი დუმს და დუმს მთავარზე, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემებს ეხება. სახელდობრ, იგი ლაპარაკობს საქართველოში სატრანსპორტო დერეფნის განვითარების პერსპექტივებზე, მაგრამ არ ლაპარაკობს (და, მით უმეტეს, არანაირ კონცეფციას არ გვთავაზობს) იმის შესახებ, თუ რა საკუთრებითი, უფლებრივი და მაკონტროლებელი სტრუქტურა ექნება ამ დიდმასშტაბიანი პროექტით შექმნილ ობიექტს მარტივად რომ ვთქვათ — რა იქნება საქართველოსი მასში და რა — სხვისი. თითქოს საქართველოს პრეზიდენტს არ ესმოდეს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ ის კი არაა მნიშვნელოვანი, რა იქნება საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ისიც, რა ექნება საქართველოს და ვინ იცხოვრებს, იმუშავებს და სიცოცხლით დატკბება საქართველოს დღეს კეთილმოუწყობელ, ხოლო მომავალში კეთილმოწყობილ დღევანდელ ტერიტორიაზე. გულუბრყვილობით მოსდის ეს? არ ვიცით. მაგრამ ეს კი ვიცით ნამდვილად, რომ მცირე-მცირე რიცხვთა იმ კორიანტელში, რომელსაც პრეზიდენტი უხვად ატრიალებს ხოლმე თავის რადიოინტერვიუებში, ჯერ არც ერთხელ არ გამომკრთალა სიტყვები, რომლებიც ასახავდეს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობისა და პერსპექტივის ყველაზე არსებით პარამეტრებს და ხელისუფლების მოქმედების გენერალურ გეგმას, თუკი მას ასეთი გეგმა აქვს (ჩვენი შთაბეჭდილებით მას ასეთი გეგმა არა აქვს, ხოლო თუ აქვს, მისი შინაარსი ისეთია, რომ მისი არგამხელა ურჩევნია). სახელდობრ:

— რა თანხები სჭირდება საქართველოს, რათა თავისი ძირითადი სახელმწიფოებრივი პრობლემები გადაჭრას (ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს, აამუშაოს მეურნეობა,ააწყოს აპარატი, შექმნას განათლების, ჯანდაცვის, თავდაცვისა და წესრიგის დაცვის სისტემა და სხვ.).

— რა მატერიალური და ადამიანური რესურსები მოეპოვება საამისოდ საქართველოს.



— რომელია ამ რესურსთა ამუშავების ოპტიმალური ორგანიზაციული ფორმები და სათანადო სამუშაოთა ჩატარების ოპტიმალური ალგორითმი.

ამ კითხვებზე პასუხის გარეშე საქართველოს ეკონომიკის წინსვლასა თუ უკუსვლაზე მსჯელობა ფუჭსიტყვაობის ფარგლებს ვერ გასცილდება.

**შემატკივარი**

# გვაქვს თუ არა უფლება ვიკითხოთ: ვის ემსახურება ჩვენ ხელისუფლება?

მეორე გვერდიდან

ანუ ჩანს იქიდან, რომ შევარდნაძემ არ ან ვერ შეძლო არმიის შექმნა, ეკონომიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სხვა დარგების ფეხზე დაყენება, ტერიტორიების შენარჩუნება, სახელმწიფო იდეოლოგიის შემუშავება, კორუფციის ალაგმვა და მოსახლეობისთვის მინიმალური სასი-




ცოცხლო პირობების შექმნა. ისმის ლოგიკური კითხვა: მაშ, რა გააკეთა ამ ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივი მშენებლობისთვის? პასუხი სრულიად მარტივია: ბევრი არაფერი! ხელისუფალთა თავგამოდებული მომხრენი კი ამ პასუხის გაგონებისას, ალბათ, მაშინვე პირში გეცემიან და იყვირებენ, როგორ, სტაბილიზაცია რომ არის, ეს არაფერია, ან, ნავთობმაგისტრალი რომ შენდება, არც ესაა არაფერიო? (ვგონებ, სხვა კონტრარგუმენტები მათ არ ექნებათ, თუმცა, უდღეურ რეფორმებზეც შეიძლება რაღაც თქვან).

ოდნავ ქვეყნის ბედით გულდამწვარი და ჭკუადამჯდარი კაცი, ჩემი აზრით, ხელისუფალთა ტაშისმკვრელებს ალბათ ასე შეეპასუხებოდა: კი, ბატონო, სტაბილიზაცია ანუ ავტომატიანები რომ არ დარბიან ქვეყანაში, კარგია, მაგრამ მშიერ სტაბილიზაციას, ანუ სასაფლაოს მშვიდობას რა თავში ვიხლიო (თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას კვლავ იარაღის ჟღარუნი დაიწყოს) და არც ნავთობმაგისტრალის მშენებლობაა ცუდი საქმე, მაგრამ, საკითხავია, ვისთვის შენდება ეს ნავთობმაგისტრალი, როცა ქართველობა საქართველოდან გარბის და ტერიტორიებს ტერიტორიებზე ვკარგავთ?

რა თქმა უნდა, ეს, ასე ვთქვათ, პრიმიტიული პასუხია, მაგრამ მარტო სტაბილიზაციაზე ტრაბახით ქვეყანა ნამდვილად არ აშენდება, არც ნავთობმაგისტრალზე აგებული ილუზიებით აშენდება ქვეყანა. ქვეყანას, ხალხს პატრონობა უნდა, დარაზმვა უნდა, იდეა უნდა, ჯარი უნდა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა უნდა, იმის შეგნება უნდა, რომ ერი და მისი არჩეული ხელისუფლება ერთი მკვიდრი ორგანიზმია და ერთად უნდა იბრძოლონ ქვეყნის გადარჩენისთვის.

ამ ბოლო ხანს ჯავახეთში განვითარებულმა მოვლენებმა, ანუ იმან, რომ საკუთარი ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონში საკუთარი ჯარი ვერ შევიდა, მწარედ ჩაგვაფიქრა ყველა. ჩაგვაფიქრა და კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ის ფაქტი, რომ შევარდნაძის ხელისუფლების ხელში ჩვენი სახელმწიფოებრიობა მეტად მყიფეა, იმდენად მყიფე, რომ ნებისმიერი რეგიონის (არაქართულ რეგიონს ვგულისხმობ) ანტიქართულად განწყობილ რაიონს ან თუნდაც სოფელს შეუძლია მუშტი უჩვენოს მას და საკუთარი პრინციპი გაიყვანოს. ის ფაქტი, რომ გალიდან დევნილთა ერთმა ნაწილმა არძინბას




ადმინისტრაციას მიმართა თხოვნით მიეღოთ სეპარატისტული აფხაზეთის მოქალაქეებად, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ, სამწუხაროდ, დღეს ერი და ხელისუფლება გათიშულია, მათ შორის უფსკრულია და ეს უფსკრული დღითიდღე ღრმავდება. ხელისუფლება ხალხის ინტერესებს არ ემსახურება, მას საკუთარი ინტერესები აქვს, რომელიც, ალბათ, უფრო პიროვნული კეთილდღეობისკენ და საკუთარი სკამების გაძლიერებისკენაა მიმართული და ამ ინტერესებს კი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ეწირება.

ყველაფერ ამის შემდეგ გვაქვს თუ არა უფლება ვიკითხოთ: ვის ემსახურება ჩვენი ხელისუფლება? უბედურება ისაა, რამდენიც არ უნდა იკითხო, პასუხის გამცემი კანტიკუნტად თუ მოიძებნება, რადგან, დიდი ილიასი არ იყოს, ხალხის დიდ უმრავლესობას ჯერ კიდევ გულის ძილით ძინავს და თითოოროლა ადამიანის საგაზეთო თუ საეთერო ქმუნჯებით ამ ხელისუფლებას ვერაფერს შეასმენ. არადა, ღმერთმანი, კარგა ხანია გამოღვიძების დროა დამდგარი, განგაშის ზარების ჩამოკვრის დრო, ერის დარაზმვის დრო. თუ დროზე ვერ გავიღვიძეთ, ხვალ და ზეგ გვიანი იქნება, ხვალ და ზეგ, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ შესაძლოა, შემადგენელ ნაწილებად დავიშალოთ და მტერსაც ხომ ეს უნდა!

**სერგო ჯანაშია**

P.S. არ გეგონოთ, უსაშველო პესიმიზმმა შემიპყრო. ყველა მკითხველი, ქვეყნის ბედით შეწუხებული, დამეთანხმება ალბათ, რომ ეს ყველაფერი ჩვენი დღევანდელობის რეალობაა და რომ ქვეყანას სასწრაფოდ უნდა შველა. აქ ერთ საგანგაშო ფაქტსაც მოგაწვდით: დაუზუსტებელი ინფორმაციით, საზღვარგარეთ გამოცემულა წიგნი, რომელშიც თურმე ახალი მსოფლიო წესრიგის მიხედვით გაკეთებული პროგნოზებია მოცემული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების მიხედვით და იქ, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ხსენება, საერთოდ არ არის თურმე,



ანუ რუქაზე ჩვენი ქვეყნის ადგილას ცარიელი ადგილი ყოფილა დატოვებული. ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია და ღმერთმა ნუ ქნას, ახდეს იქ მოცემული პროგნოზები, მაგრამ თუ ქვეყნის მართვა დღევანდელი მეთოდებით გაგრძელდა, სავარაუდოა, რომ საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგოს და შესაძლოა, სულ ახლო ხანშიც.

მეორე გვერდიდან ხმა ხალხიდან

# ედუარდ შევარდნაძე სამაჩაბლოშიც დაუშვებს გალის ტრაგედიას?!.

представители власти обеих сторон". ე. ი. რაო?, დღესვე აღიარებულია საქართველოს ფაქტიური ხელისუფლების მიერ მეორე მხარის — „სამხრეთ ოსეთის" სახელმწიფო.

მაშ სად გვაგზავნიან? უცხო სახელმწიფოში? აქ კი ნამდვილად საჭიროა „добровольная репатрация". მით უმეტეს, რომ ანკეტაში სიტყვა არ არის ნათქვამი შიდა ქართლში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისა და უსაფრთხოების გარანტიის შესახებ, რის შემდეგაც ნამდვილად შესაძლებელი იქნება „добровольная репатрация".

ჩემს შეკითხვებზე:

1. ჩემს იქ არყოფნის დროს როგორ მოხერხდება ბინის აღდგენა?

2. ვინ იღებს პასუხისმგებლობას დაბრუნებულ პირთა უსაფრთხოების გარანტიაზე? მონმე (ანკეტაზე ორი ხელმონერაა, განმცხადებლისა და მონმისა) ქ-ნმა დიანა მაჩაბელმა განმიმარტა, რომ რომელიღაც ფირმა აღადგენს ბინას, ჩაკეტავს კლიტით და დაელოდება, როდის მოვისურვებ ჩასვლას???

მეორე შეკითხვაზე კი მიპასუხა, რომ ჩვენს უსაფრთხოებას დაიცავს სამშვიდობო შერეული ჯარი??? თუნდაც ასე იყოს, როდემდე იდგებიან იქ ეს ჩემი „დამცავები". ან იქნებ უკვე დაგვავიწყდა როგორ დაიცვეს „სამშვიდობო ძალებმა" გალის მოსახლეობა მრავალგზის დარბევისაგან. ან იქნებ დაგვავიწყდა, რომ 1994 წელს მსგავს ანკეტებს გალის მოსახლეობასაც ავსებინებდნენ და რა მოუტანა მათ „добровольная репатрация"-მ.

ისიც განმიმარტა ქ-ნმა დიანა მაჩაბელმა, დაბრუნება მოხდება სტაბილიზაციის მიღწევის შემდეგ, თითქოს ედუარდ შევარდნაძე ყოველდღე არ ჩაგვჩიჩინებდეს კონფლიქტი მოგვარებულია და სტაბილიზაცია მიღწეულიაო. რა სტაბილიზაციაზეა ლაპარაკი, ეს უკვე საკითხავია.

კონფლიქტის მოგვარებად ედუარდ შევარდნაძე, დღევანდელი კვერცხის პოლიტიკოსი, თვლის ოსი და ქართველი მოსახლეობის ახლანდელ ურთიერთობას. ნუ მოვტყუვდებით! ეს არ არის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარება, ასეთი ურთიერთობა და უკეთესიც ადრეც იყო ხალხს შორის რომელიღაც განსაზღვრულ დრომდე, აღებ-მიცემობა ხომ ყოველთვის იყო ნებისმიერი სახელმწიფოების ხალხს შორის. ანდა ოს ექსტრემისტებს რაში უშლის ხელს არსებული სტაბილიზაცია, როდესაც ფაქტიურად თავს გრძნობენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და საქართველოს არსებული ხელისუფლების პოლიტიკა დიდ იმედს აძლევთ, რათა „სამხრეთ ოსეთის" სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო გადაიქცეს დე-იურედ, შემდეგ კი განახორციელონ თავიანთი დიდი ხნის ოცნება ორი ოსეთის შეერთების თაობაზე.

ფაქტიური ხელისუფლების აგიტაციამ ცრუ ინფორმაციით კონფლიქტის მოგვარების შესახებ ის შედეგი გამოიღო, რომ ზოგი თბილისელი ბრიყვულად, ზოგიც კი ბოლმით გვეუბნება რატომ არ ბრუნდებით სამაჩაბლოში, იქ ხომ კონფლიქტი მოგვარებულია (ეს ხომ ძალით რეპატრიაციის დაფარული ფორმაა). სამაჩაბლოდან ლტოლვილები კი ცალსახად აცხადებენ, რაც ხელმონერებითაც დასტურდება, რომ საქართველოს სრულყოფილი იურისდიქციის აღდგენამდე სამკვიდროს არ დაუბრუნდებიან. მით უმეტეს, რომ მათ ჯერაც არ დავინყებიათ გალში დაბრუნებულთა ხვედრი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ანკეტა-ხელკშეკრულების ბოლოში მინანერი:

**„Я, нижеподписавшиися, заявляю что по моему собственному желанию и должному размышлению я и вышеупомянутые лица желаем вернуться по адресу, указанное в анкете. ЭТО возвращение АНУЛИРУЕТ РЕГИСТРАЦИЮ КАК БЕЖЕНЦА"**

ყურადღება მიაქციეთ მსხვილი შრიფტით გამოყოფილ ვალდებულებას დევნილთა მხრიდან. აი, სად მარხია ძაღლის თავი, ნებისმიერი მეთოდებითა და ნებისმიერი შედეგის საფასურად, როგორც ეს მოხდა გალში, დაფიქსირდეს, რომ დევნილები შიდა ქართლიდან აღარ არსებობენ, რომ კონფლიქტი საბოლოოდ მოგვარებულია და „სამაჩაბლოს მეთოდმა" გამართლა. ხომ ჰპირდება ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთიდან დევნილებს, როგორც სამხრეთ ოსეთის საქმე მოვაგვარე, ისევე მოვაგვარებო აფხაზეთის საქმესაცო.

ფხიზლად იყავით, შიდა ქართლიდან დევნილებო!

ფხიზლად იყავით, აფხაზეთიდან დევნილებო!

ფხიზლად იყავით, ქართველებო!

**გენრიხ გელაძე**
**დევნილი სამაჩაბლოდან**




# ქუთაისო! — სავარდო და სამაისო! ყაჩაღები თერჯოლაში რატომ გააგზავნე?

**ტყიდან გამოვარდნილმა ფირალებმა კი არა, ქუთაისის სამხედრო პოლიციამ დააყაჩაღა თერჯოლის ფირმა „ბერმუხა" და მისი გენერალური დირექტორი კობა მემანიშვილი, მილიონამდე ლარის ღირებულების ტექნიკას საგვარეულო ოქროც გააყოლეს!...**

**ეს მოხდა 1993 წლის 10 აგვისტოს.**

ბატონო თემურ შაშიაშვილო! როგორ გამოგეპარათ ეს ამბავი! აქამდე არ იცოდით? სამხედრო პოლიციის კბილებამდე შეიარაღებული რაზმი კატასტროფის წინაშე მდგარი სოხუმის მიმართულებით რომ არ წავიდა. 180 გრადუსით შემოტრიალდა და თერჯოლაში ფირმა „ბერმუხა" დააყაჩაღა — ეს უბედურება ვერ გაიგეთ?

საქართველოს პრეზიდენტი ალმოდებულ სოხუმში გეგულებოდათ, ქუთაისის სამხედრო პოლიციამ კი შუა იმერეთის ერთ-ერთ სექტორში ჩაატარა „ჰუმანური" აქცია. ყაჩაღურ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ — ფირმა „ბერმუხა" შეასუფთავა, ანაპნულის ნანილი იქვე გაასუხარა, დიდი ნანილი ქუთაისში მოაყუჩა. შენყდა ფირმა „ბერმუხას" მოღვანეობა. მისი პურის საცხობი 2400 კგ. პურს უშვებდა დღე-ღამის განმავლობაში. თუმცა ფირმა „ბერმუხას" მოღვანეობა მარტო პურის ცხობით არ ამოინურებოდა, ხალხი სხვა სამეურნეო საქმიანობითაც იყო დაკავებული. ყაჩაღებმა პურის საცხობიდან გაიტაცეს ავტომანქანა სუპერ-კამაზი და სხვა ტექნიკური აღჭურვილობანი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ფირმა „ბერმუხას" საველე მექანიზებულ პურის საცხობს გული ამოაცალეს, ეს დაახლოებით იმის ტოლფარდია, მომხვდურმა წყალი შეასხას ბუხარში და მასპინძელს უბრძანოს: ჩამქრალ ბუხარში ხაჭაპური გამომიცხვეო!

ბატონო გუბერნატორო! ქუთაისის სამხედრო პოლიციამ თერჯოლაში ფირმა „ბერმუხა" და მისი გენერალური დირექტორი კობა მემანიშვილი (ევროპის ყოფილი ჩემპიონი ჭიდაობაში) რომ წააქცია და დააქცია, ეს თქვენც შესანიშნავად იცით, მაგრამ ფართო საზოგადოებრიობამ არ იცის წელმომაგრებული „ბერმუხას" დაყაჩალების მიზეზი. ამის შესახებ დაზარალებულ კობა მემანიშვილის ადვოკატიც დუმს, მისი განცხადება (რომელიც პრესის მეოხებით ან სხვა გზით უნდა დაეცეს: საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს; დავით სალარიძეს, ელენე თევდორაძეს; ჯამლეთ ბაბილაშვილსა და არმაზ სანებლიძეს) ზემოხსენებული დანაშაულის შეფასებას არ შეიცავს.

მძარცველებმა რომ დაუსჯელად იბაირამონ საქართველოში, თანაც სისტემატურად (ამის სიმპტომები უკვე შეინიშნება „დემოკრატიული ინსტიტუტებით გაძეძგილ" ქვეყანაში) წაიქცევა თუ არა იმერეთი და მთელი საქართველოც? ფირმა „ბერმუხას" მსგავსი ფირმები, რომლებიც გასაყიდ პროდუქციას აწარმოებენ, გასაგები მიზეზის გამო წარმოების სოციალისტურ წესს ველარ დაემყარებიან. მათი მართვა ტელეფონებით რაიკომის მდივნების მსგავსად აღარ შეიძლება. ფული და მუშახელი ქმნის პროდუქციას, რეალიზაცია — მოგებას. ამგვარი წრებრუნვა წარმოშობს კაპიტალს და აქედან გამომდინარე, კაპიტალიზმს. აი, რისი გეშინიათ თქვენ, სოციალისტო გუბერნატორო, აი, რატომ დააყაჩაღა ქუთაისის სამხედრო პოლიციამ თერჯოლის პოლიციის დახმარებით ფირმა „ბერმუხა".

როდესაც ადგილობრივი პოლიცია ადგილობრივ ფირმას აყაჩალებს, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? ერთადერთი! პოლიციური რეჟიმი ჩამოგიყალიბებიათ



ე. წ. იმერეთის რეგიონში და ხალხს სოციალიზმის სანაგვისაკენ მიერეკებით. ეს კი სამშობლოს ღალატის ტოლფარდი პოლიტიკური დანაშაულია, გუბერნატორო!

ფირმა „ბერმუხას" დაყაჩალებასთან დაკავშირებული იდუმალი „საქმე" ჩემმა მეგობარმა, სამხედრო პროკურატურის მუშაკმა ბუდუ შეყილაძემ გახსნა ზურაბ ფარღალავასთან ერთად: დამნაშავეთა ვინაობაც დადგენილია და გადამალული ნაძარცვის ადგილმდებარე-

გაგრძელება მე-7 გვ.

# ზღაპარი მაინც იყოს!..

თვალდაფსილი პოეტი სხვა ერსაც ჰყავდა, მაგრამ ჩვენ მაინც სულ სხვა ვართ. საოცარია! ჯერ თვალები დავუფსეთ და მერე ჩავსვით სამღერლად შუაგულ საქართველოში. საქართველოში, რომელიც სულ იყიდება, სულ იგლიჯება, იფლითება და მაინც მთელია. გნებავთ, პირიქით იყოს: მთელია, მაგრამ დაგლეჯილია, დაფლეთილია. მსგავსი ანალოგების მოძებნა ჩვენს ისტორიულ-ხალხურ შემოქმედებაშიც შეიძლება: გნებავთ უძირო კოკას ამბავი გავიხსენოთ, რომლიდანაც ღვინოს განუწყვეტლივ ასხამდნენ, ის კი განუწყვეტლივ სავსე იყო; ანდა საქართველოსავით პარადოქსული ერთი პატარა ჩიტის მაგალითი რად ღირს! დიახ, დიახ, სწორედ იმ ჩიტზე მოგახსენებთ, დიდ ქვაბში რომ ვერ ეტეოდა, პატარაში კი სულ არ იყო!

პარადოქსების ამბავზე მოგახსენებდით! აქ, ჩვენთან, დღისით, მზისით, ყოველ დღეს, ყოველ ქალაქში, ყოველ ქუჩაზე, რამდენ ხელგამოწვდილ ადამიანს ვხედავთ? ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ფული არ აქვს, მაგრამ აბა სადმე, საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში რაიმე უბედურება მოხდეს. — საქართველო იქნება პირველი, ვინც გაჭირვებულსა და დაზარალებულს დახმარების ხელს გაუწვდის! მომენტალურად დაიწყება სხვადასხვა საჭირო ნივთის შეგროვება, გაგზავნა, ყურადღების გამახვილება. აი, ნახეთ, ნახეთ, მოდით, ყველამ ნახეთ რა მდიდარი და გულუხვია საქართველო, რა კეთილი გული აქვს, რა მონყალეა, რა... საწყალია! ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა მთელს მსოფლიოში, როცა დედას, „კეთილის" სახელის მოხვეჭის გამო, შეუძლია, საკუთარი შვილი შიმშილით მოკლას, სხვისას კი ხელი გაუწოდოს, მოეფეროს. ამას მიესადაგება ანდაზა: ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდა.

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის."

და ეს ჩვენი თვალებდაფსილი პოეტიც ზის თაკარა მზეზე და ბოლო ხმით მღერის: „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს"... თვალებდაფსილობის გამო კი ვერ ხედავს, რა ხდება მის ირგვლივ. რაკი ესმის მოძრაობის ხმაური, მას ისევ და ისევ ამ წყეული თვალებდაფსილობისა გამო, ჰგონია, რომ ეს სიცოცხლის ხმებია, რომ სიცოცხლე დუღს თავის სამშობლოში. დუღს და გადმოდუღს. იმას კი (კვლავ თვალებდაფსილობის გამოისობით) ვერ ამჩნევს, თუ როგორი სიტყვებით იმეორებს ბრბო მის რიტმს:

ბაზარი საქართველოა,
მოვაჭრე ჩვენ ვართ ყველაო,
მთელს ქვეყანას რომ გავყიდით
მერე რას ვიზამთ ნეტაო.

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის",

თქვენ გულს მაინც ნუ გაიტეხთ! ოპტიმიზმის საფუძვლად ხომ ფრთოსანი იმედი — საზღვარგარეთი გვყავს! და მერე რა, რომ ეს იმედიც ფრთოსანია? — პოეტური ხალხი ვართ და იმედიც ფრთოსანი გვყავს! მართალია, ზოგჯერ (და საკმაოდ ხშირადაც, თითქმის ყოველთვის), ეს საზღვარგარეთიც ზურგს შეგვაქცევს, ჩვენს ფრთოსან იმედებს სულ დააფრთხობს და სულ საბუთებ-დოკუმენტებით დაგვიმტკიცებს, რომ ტერიტორია, რომელიც ათასწლეულების მანძილზე ქართული იყო, სულაც არაა ქართული, არამედ... (რომელი ერთი გითხრათ?... სწორედ აქ, ამ ადგილას აღმოჩნდება და გამოვლინდება ჩვენი ოპტიმიზმი — მერე რა! რა მოხდა თუ დღეს ასეა, სამაგიეროდ ხვალ შეიცვლება ყველაფერი, დღეს გამოპანჩურებულებს ხვალე ხელებგაშლილები შეგვხვდებიან და იქნება ყველაფერი კარგად! მერე რა მოხდა, თუ ჩვენ დაუდევრობისა გამო ყურიც არ შეგვიბერტყავს მაშინ, როცა სანყალი ეროვნული უმცირესობანი არარსებულ ისტორიებს იგონებდნენ და პოლიტიკურ რუკებზე პატარ-პატარა ხაზებს ჯერ გადაადგილებდნენ, მერე დაბეჭდავდნენ და საზღვარგარეთ კონფლიქტოლოგიის ბიუროებს ურცხვად დაურიგებდნენ — აი, როგორ იყო ყველაფერი სინამდვილეშიო და გაყალბებულ ისტორიულ ფაქტებსაც ზედ დაურთავდნენ.

ეს ისე, სასხვათაშორისოდ, ვითომც არაფერი. ჩვენი ფრთოსანი იმედი რის ფრთოსანია, რომ თავის ფრთოსანი ფრთებით ერთი ადგილიდან მეორეზე არ დაფრინდეს და თან ფრთების ისე საშინელი ტკაცა-ტკუცით, რომ ყოველ მიფრენა-მოფრენაზე ხალხს ირგვლივ უხვად დაგროვილი ნაცარი შეეყაროს.

„ერთი მათგანიც რომ გაწყდეს!"

იკითხავთ, ალბათ, ეს ნაცარი რაღა შუაშია, ან თუ შუაშია, უხვად დაგროვილი რატომ და საიდანააო? დაგავიწყდათ განა უამრავი გადამწვარი სახლი? ანდა იქნებ გგონიათ, რომ ეს საშინელი ზამთრები საკუთარმა გამძლეობამ (ახლადგამოყვანილი ყინვაგამძლე ჯიში არ მაქვს მხედველობაში) გადაგვატანინა? არა, ბატონებო, არა! ჩვენ სწორედ იმ ცეცხლით ვთბებოდით, უამრავ სახლს რომ ეკიდა და უამრავ სახლს ნაცარ-ტუტად აქცევდა. აი, საიდან დაგროვდა ამდენი ნაცარი!

ისე, სამართლიანი იქნება, შემეკამათოთ და მითხრათ, რომ აკი ქართველები ავადმყოფურად არაპრაქტიკული ხალხი ვართ და ნაც-



რის გამოყენება როგორღა მოვახერხეთო, მაგრამ გიპასუხებთ, რომ ჩვენ კი, ჩვენ ნამდვილად არაპრაქტიკოსი ხალხი ვართ, მაგრამ ხომ იცით, წესს გამონაკლისები ადასტურებს!

ასე, რომ ბატონებო, ნაცარი ჩვენ კი არ გამოვიყენეთ, არამედ იმათ, წესის დადასტურებად არსებულმა გნამონაკლისებმა. მათ იციან, რომ ნაცარი თვალების დაფსობის საუკეთესო საშუალებაა. ამას გარდა, როგორც უკვე იცით და ხედავთ (თუ, რა თქმა უნდა, თვალებში ნაცარი ჯერ არ გაყრიათ) მათ ჰყავთ ფრთოსანი იმედები, რომლებსაც თვალებში ნაცრის შესაყრელად იყენებენ.

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის."

ჩვენი თვალებდაფსილი მგოსანი კი ზის ზამთარ-ზაფხულ თაკარა მზეზე და უკანასკნელი ხმით მღერის „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს"... მის ირგვლივ დადიან ხელგამოწვდილი ბავშვები, პატივაყრილი მოხუცები, გაწამებული ხალხი, შემდეგ მოდის ფრთოსანი იმედები, ცეხცლწაკიდებული სახლებიდან დარჩენილი ნაცარი... თითქოს ჯადოსნური, გაუხსნელი წრედია შეკრული, რომელსაც ვერაფერი არღვევს, არაფერი ცვლის... ზღაპარს კი ჰგავს, მაგრამ ზღაპარი არაა! უცვლელი სინამდვილეა! - ზღაპარი მაინც იყოს, ერთი კეთილი გმირი ხომ მაინც იქნებოდა!

P.S. „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის."

**ნინო დალაქიშვილი**

# ტექსტები აფხაზეთის შესახებ ინტერნეტში

**ანპო** — გაეროში გასაწევრიანებელი ქვეყნების მიერ ბიჭვინთაში მოწყობილი საერთაშორისო კონფერენცია. 1996 წ. გამოქვეყნდა ბროშურის სახითაც რუსულად და ინგლისურად გაეროს არაწევრი ქვეყნების ორგანიზაციის ხარჯით. ამ კონფერენციის შესახებ ანგარიში 1998 წელს სამწლიანი მუშაობის შედეგების ანალიზის სახით წაიკითხეს ჟენევაში ამ ორგანიზაციის ყრილობაზე. კონფერენცია ჩაატარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსიტეტმა და ულსტერის უნივერსიტეტმა ერთობლივ ღონისძიებად. აფხაზეთის გაეროს ასოციაცია. მისი თავმჯდომარე ვახტანგ ხაგბა არის.

დრ. გიორგი ოტირბა: სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი.

გაეროსთან ურთიერთობის კომიტეტის წევრები: იური თორია — იუნესკო.

თამარა შაკრილ, ვიტაპი შარია — გაზეთ „ეხო აბხაზიას" რედაქტორი.

ერმოლაი აჯინჯალ: აფხაზეთის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე.

ახრა ბჟანია — კომპიუტერული ცენტრის დირექტორი.

უცხოელებიდან მონაწილეობდნენ: ბოლგერ დანიელ (ინტერნიუს ნეტუერკ), ბრიუნეტ სამიუელ, ჩეტუინ მერი ელენ (გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი არსებების დამცავი ორგანიზაცია „ნოეს კიდობანი"), კუზენ დანიელ (ვერტიკ), დანცერ ჰობი (გაეროს დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია, ლინდსეი ბილ (გაერო). მოხსენებები წაიკითხეს ლიუდმილა ლოლუამ, მერი ინაფხამ (აბხაზ-აბაზინთა საერთაშორისო კონგრესი).

ამ სემინარის მიზნებია:

. აფხაზეთის პრობლემები გავაცნოთ საერთაშორისო საზოგადოებას.

. გამოვნახოთ გზები აფხაზეთზე საერთაშორისო კონფერენციის ჩასატარებლად.

ბროშურები დააფინანსა გაერომ. რედაქტორი და კოორდინატორია იური თორია. თარგმნა რეჩელ კლოგმა. ათასი ცალი დაბეჭდეს რუსულ და ინგლისურ ენებზე. გამომცემლობა „ადიღეა", მაიკოპ, 96 წ.

პროფესორი ნათელა აკაბა: აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები ქართველებს კი არ ემხრობიან, არამედ ჩვენ — აფხაზებს. მათ ქართული ენა არც კი იციან, ისინი მეგრულად მეტყველებენ. თუმცა აფხაზური ენა დაავიწყდათ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ შერჩათ აფხაზური გვარები.

ერმოლაი აჯინჯალის მოხსენება შეეხო კულტურის მდგომარეობას აფხაზეთში. სავალალო მდგომარეობაა. თუ მსოფლიო ფულით არ დაეხმარა, აფხაზეთში ხუთ წელიწადში მხოლოდ ფორმიანი მეომრები იცხოვრებენ, რომელთათვისაც თვით სიტყვა „კულტურის" მნიშვნელობა გახდება გაუგებარი, ზედმეტი და უაზრო.

ნათელა აკაბა-პარლამენტის წევრი: ნოე ჟორდანიამ დაწერა — ჩვენ აფხაზები ჩვენი კულტურით უნდა გავაქართველოთო. ჰარვარდის არქივშიც ასე წერია, საიდანაც ეს ცნობა გადმობეჭდა ზურაბ ანჩაბაძემ. ქართველები წერენ, რომ ადიღეური ტომები (აპსილები, აბაზგები) აფხაზეთში ორი საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ ჩრდილოკავკასიიდან. (მაგალითად, ასე წერენ მ. კახიძე, რ. მიშველაძე, თ. მებურიშვილი, გ. ჯულუხიძე, „ახ. კომ." 6 მაისი, 1989 წ.) ედუარდ შევარდნაძე ყველაზე უარესია. აშშ-ში მოხსენებით გამოსვლისას მან განაცხადა: მხოლოდ რუსეთს და საქართველოს სს რესპუბლიკას ჰქონდა რამდენიმე ავტონომია. რატომ მისცეს აფხაზეთს და ოსებს ავტონომიები საქართველოში? იმიტომ, რომ მათ ხელი შეუწყვეს რუსეთს საქართველოს დაპყრობაში. ე. შევარდნაძის ინტერვიუ „მოსკოვსკიე ნოვოსტში", 12 აგვისტო, 1995 წ. აფხაზების სასაფლაოები, მიცვალებულები წაბილწეს.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ლეილა ტანია. 1940 წლიდან აფხაზური სკოლები დახურეს, მათს ნაცვლად ქართული სკოლები გახსნეს. აფხაზეთი-ჩრდილო კავკასიის ისტორია. შაფსუღები, ბჟედუხები, თემირგოები, აბზახები, ბესლენები, ყაბარდოელები — ყველანი კირკასიელებია, კავკასიის უძველესი მოსახლეები.

შემდეგმა მომხსენებელმა ისაუბრა აფხაზეთში ჯანდაცვის მდგომარეობის შესახებ. სავალალო სურათი დახატა. გაპარტახებულია საავადმყოფოების შენობები. უცხოელების დახმარების გარეშე მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია.

მომდევნო მომხსენებელი შეეხო ბავშვებისათვის „სკაუტების" მოძრაობის განვითარებას ბუნების დაცვის, ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულების გამოსამუშავებლად.

ბიჭვინთის ამ კონფერენციის წევრების თხოვნით გაერომ მათთვის შექმნა უცხოელი ექსპერტებისაგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭო, რომლის რეკომენდაციით აფხაზეთის რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას წერენ.

**. კავკასიონის ქედი;**
**. კავკასიის რუკები;**
**. აფხაზეთის რუკა;**
**. საქართველოს რუკა.**

**ფრანს პრესის სააგენტოს** ახალი ამბები-საქართველო. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველოს მკაცრად აფრთხილებს, 1998 წ. აფხაზეთში ბლოკადის გამო ხალხი უკიდურესად გაჭირვებულიაო.

**პროფ. გიორგი ანჩაბაძე. საქართველოს ისტორია** — შეტანილია საქართველოს მთავრობის ინტერნეტში. 1997 წ.

ხუთი ათასი წლის წინ დღევანდელ თურქეთში ანუ ანატოლიაში და მის მეზობლად, და მთელს კავკასიაში ვაინახების, ჩეჩნების, ინგუშების, ადიღების, ჩერქეზების, ლეკების, ავარების, შაპსუღების, აფხაზების (აბსუას გულისხმობს) ძლევამოსილი ხალხები მოსახლეობდნენ. სწორედ ისინი არიან ძლევამოსილი ხეთების წინაპარი ხალხები — ხათები. კოლხეთის ისტორია — ლეგენდა აიეტზე. ძველი კოლხეთის სამეფო დაეცა. ძვ. წ. მეშვიდე საუკუნეში ახალი კოლხური სამეფრო შეიქმნა. აფხაზებიც და ქართველებიც ორი უძველესი კავკასიელი ერია. აფხაზეთის მეფეები ენით, კულტურით, გაქართველებული აფხაზები იყვნენ. აფხაზებმა და ქართველებმა დღესაც ერთად უნდა აალორძინონ აფხაზეთი.

**საქართველო** — ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ტექსტები. ფინეთი, 1998 წ.

**იაპია ყაზან.** აფხაზეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აშშ-ში. 1998 წ.

აფხაზეთი წინათ დამოუკიდებელი სამეფო იყო. მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთს ცალკე, საქართველოს გარეშე შეუერთდა. ქართველები აფხაზებს მუდამ ჩაგრავდნენ. სტალინი ქართველი იყო და ქართველებს მიაკუთვნა დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკა 1931 წელს. შევარდნაძე თავს დაესხა სუვერენულ რესპუბლიკად გამოცხადებულ აფხაზეთს 1992 წელს. ახლაც არ აძლევს აფხაზეთს დამოუკიდებლად არსებობის საშუალებას. საისტორიო ძველი ცნობა: არაბმა მოგზაურმა მასუდიმ საუკუნეების წინ, მეათე საუკუნეში დაწერა: კაბაკის მთებთან ალანებია, იქვე არიან აფხაზები — ქრისტიანებია და მეფე ჰყავთ. ამის შემდეგ საქართველოს უსინდისო ისტორიკოსებს როგორ არ რცხვენიათ, როდესაც წერენ, აფხაზებს მეფე არასოდეს არ ჰყოლიათ, ორასი წლის წინ შემოსახლდა საქართველოში მათი ტომიო. მასუდიმ ხომ დაწერა, რომ აფხაზებს მეფე ჰყავთ.

წელს ინტერნეტში გამოქვეყნდა **აფხაზეთის მწერლების მიმართვა** რუსეთის მწერლებისადმი — მწერალთა კავშირისადმი, საერთოდ — მწერლებისადმი, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებისადმი, სირიის, იორდანიის, აშშ, ინგლისის, გერმანიის, პოლონეთის, ჩეხეთის... მთავრობებისა და მოსახლეობისადმი.

ძვირფასო კოლეგებო, ჩვენ, აფხაზეთის მწერლები, ამ ძნელბედობის ჟამს მოგმართავთ დახმარებისათვის... ჩვენი ხალხის ბედი ბეწვზე ჰკიდია.

1997 წლის აპრილში შევარდნაძემ სიურპრიზი შემოგვთავაზა (რუსეთის ბიუროკრატიის ხელშეწყობით) — საერთაშორისო სატელეფონო ხაზი გამოგვირთო. რუსეთში გახიზნულ ნათესავებს ველარ ვუკავშირდებით. ეს იმიტომ მოხდა, რომ საქართველოს მთლიანობას არ ვაღიარებთ, მცირე საისტორიო ექსკურსი: სტალინმა 1931 წელს აფხაზეთის რესპუბლიკა საქართველოს სსრ-ში შეათრია ძალით — ავტონომიის გარსით, ნილბით. 1975 წელს ჰელსინკში რა იყო მთავარი — ეროვნება თუ საზღვრები? მიუხედავად იმისა, თუ მაშინ რა მიიჩნიეს გადამწყვეტად, დღეს გადამწყვეტად ის მიგვაჩნია, რომ არც ენით, არც ისტორიული ბედით, არც კულტურით, არც ტოპონიმებით, არც ფოლკლორით ან სხვა რაიმე ნიშნით აფხაზები არ ჰგვანან ქართველებს. აფხაზების ფსიქოლოგია სავსებით განსხვავდება ქართველების ფსიქოლოგიისაგან, რადგან მათ სავსებით სხვაგვარი ცნობიერება აქვთ. იმ აქტივისტებმა, რომლებიც დღეს საქართველოს საზღვრების მთლიანობაზე ზრუნავენ, ძალიანაც კარგად იციან, რომ აფხაზეთის ტერიტორია საუკუნეების მილმა, უძველეს დროშიც საქართველოს ეთნო-ადმინისტრაციული რაიონი კი არ იყო, არამედ მსოფლიოს ატლასებზე აფხაზეთი დამოუკიდებელი, განსხვავებული, ცალკე სამეფოა. თუ უძველეს გამოჩენილ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების (XVII ს.) დავიმოწმებთ, ასევე ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს — ყველანი დაგვიმოწმებენ, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დღევანდელი აფხაზების წინაპრები (აბაზგები, აპსილები, სანიგები) ცხოვრობდნენ. საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობა ნიშნავს ჰქონდეს მას აფხაზეთი უაფხაზებოდ. მას სურს წაგვართვას ერთადერთი სამშობლო, რომელიც ადრე მეფის რუსეთმა წაგვართვა XIX ს-ში — მუჰაჯირობის დროს.

**დრ. ვიაჩესლავ ჩირიკბა. აფხაზეთის ისტორია.** 1997 წ. იანვარი. უძველესი საუკუნეებიდან აფხაზეთის ტერიტორია, მეფეები, კულტურა, ძეგლები აბსუების კუთვნილებად ალიარა. საქართველოს ისტორია მიითვისა, აფხაზების რაოდენობა გაზვიადებულია.

**განცხადება გაეროს 1996 წლის დადგენილებასთან დაკავშირებით.** 30 ოქტომბერი, 1996 წ. აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტი გმობს საქართველოს. აფხაზეთის მთავრობას ამართლებს.

**„სიცრუეში ვარჯიშობანი"** (პასუხი). უთარიღო და ხელმოუწერელია.

ახლახან საქართველოს პარლამენტის ინტერნეტში გამოჩნდა ტექსტი „რუსეთის როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში," სადაც ქართველების მიერ აფხაზი ერის წინააღმდეგ 130 წლის მანძილზე მიმართული ქმედები სიცრუედ არის გამოცხადებული. აფხაზეთი წარმოდგენილია რუსეთის მომხრე და ევროპის მოწინააღმდეგე მხარედ. ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ ეს სიცრუეა, რომელიც შევარდნაძემ გაავრცელა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან აფხაზებს ყველაზე დიდი საფრთხე ეროვნულად გაქრობის მხრივ საქართველოსგან მოელის და ვის, თუ არა რუსეთს, უნდა მიეკედლოს აფხაზეთი?

**ინტერფაქსი და როიტერი** საქართველოს ტერორისტების ქმედებებზე

თეთრი ლეგიონის „შესახებ ახალ თაობაში" გამოქვეყნებული ინტერვიუ ზურაბ სამუშიასთან. მას 70 მეომარი ჰყავს, მათ შორის რუსები და უკრაინელები. ისინი იბრძვიან მარიონეტული სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ. 1996 წელს მათ ოცდათვრამეტი ტერორისტული აქტი და საბოტაჟი ჩაატარეს. 1997 წელს თებერვლისათვის უკვე ათი ტერორისტული აქტი მოაწყვეს. ახლავს ქართული წერილის თარგმანი.

**მიმართვა დსთ-ს ქვეყნების მეთაურებს, ე. სტროევს... 1997 წ. 24 იანვარი.**

ქართველები ჩაგრავენ აფხაზებს, მინისტრმა ი. მენაღარიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო მოსთხოვს დსთ-ს აფხაზეთის ბლოკადის გაძლიერებას, თუ ლტოლვილები დროულად არ დააბრუნეს. დსთ ვალდებულია საქმით დაამტკიცოს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილად მიაჩნია.

მოვითხოვთ:

შეწყდეს საქართველოს ფაშისტურ მთავრობასთან მოლაპარაკება, რადგან შეუძლებელია მასთან სახელმწიფოთაშორის დონეზე მოლაპარაკება.

დსთ-მ მიიღოს თავის წევრად სუვერენული აფხაზეთის რესპუბლიკა თანაბარი უფლებით.

აფხაზეთის პარლამენტმა განიხილოს ეს საკითხები და შეწყვიტოს მოლაპარაკება საქართველოს ნაცისტურ მთავრობასთან.

თუ დსთ ქვეყნები ბლოკადას გაგვიმკაცრებენ, მაშინ აფხაზეთის მთავრობამ შეწყვიტოს დსთ-თან ურთიერთობა და დახმარებისათვის ჩრდილოკავკასიის მთავრობებს, რესპუბლიკებს მიმართოს, რათა აფხაზეთი გადაარჩინონ.

ეს მიმართვა მიღებულია ერთხმად. ხელს აწერენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები... არმენების, პოლონელების, ბერძნების, ებრაელების, კაზაკების სათვისტომოები, უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. სალარია, ყრილობის მდივანი ს. ზუხბა.

**1998 წელს დანიაში გამოქვეყნებული მასალა: კონსტანტინ ოზგან. აფხაზეთი.**

წიგნიდან „კონტრასტს ენდ სოლუშონზ ინ კავკას" აარუს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ალბათ, პატარა აფხაზეთზე არაფერი გსმენიათ.

როდესაც ღმერთი სხვადასხვა ერს ქვეყნებს ურიგებდა, აფხაზები იქ არ ჟყვნენ. ღმერთმა თავისთვის დაიტოვა ულამაზესი სამოთხე. ყველანი რომ წავიდნენ, მხოლოდ მაშინ გამოჩნდა აფხაზი და ღმერთს ქვეყანა სთხოვა. ღმერთმა უსაყვედურა, აქამდე სად იყავიო. სტუმარი მყავდა და ვერ მივატოვეო, შეჰბედა კაცმა. ოო, სტუმრის სიყვარული და პატივისცემა კეთილშობილი და წმინდა საქმეა. სტუმართმოყვარე ხალხი კეთილშობილია. მე ამ ლამაზ ადგილს გითმობთ აფხაზებს — მოუარეთ მას, შეინარჩუნეთ. ამ მიწაზე აფხაზები სამყაროს შექმნის დროიდან ცხოვრობენ და მას აპსნი ეწოდება, რომელიც ითარგმნება, როგორც „აფხაზთა ქვეყანა". ძნელად იპოვით ისეთ ადამიანს, რომელიც აფხაზეთს იცნობდეს და ეს უძველესი ლეგენდა არ იცოდეს. ერთხელ საქართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი ყვებოდა ამ ლეგენდას და ქართველები ახსენა აფხაზების ნაცვლად. იქვე ესწრებოდა ერთი თურქი გენერალი. მან უთხრა, ეს ლეგენდა ლამაზ საქართველოს კი არა, აფხაზეთს ეხება, ხომ ყველაფერი წარსტაცეთ, ეს მაინც შეარჩინეთ აფხაზებს.

**ისტორიული ცნობები**

ტერიტორია, რომელსაც დღეს აფხაზეთი ეწოდება (აფხაზურად აპსნი) კავკასიაში შავი ზღვის სანაპიროზე გადაჭიმულია. როდესაც საქართველო შემოგვესია, აფხაზეთის მოსახლეობა ნახევარი მილიონი იყო. აფხაზებს გარდა აქ ცხოვრობდნენ რუსები, არმენები, ქართველიენზ (მასში შედიან მეგრელები, სვანები, ქარველები (ჯორჯიენზ) და ლაზები), უკრაინელები, თურქები, ბერძნები, გერმანელები, ესტონელები, ბულგარელები, შავკანიანები-ზანგებიც კი. ამ მრავალეროვნულმა მოსახლეობამ იცოდა, რომ ეს მიწა აფხაზების არის და აფხაზებია მისი მკვიდრი მოსახლეობა. და წინათ, გაჭირვების ჟამს, ერთიანდებოდნენ ამ ქვეყნის დასაცავად. „ბებერი, მაგრამ მაინც მუდამ ახალგაზრდა აფხაზეთი" — ასე წერდნენ მასზე ძველი დროის მოგზაურები, მეცნიერები, საუკუნეების წინ, როგორც ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, აფხაზეთში ცხოვრობდნენ აფხაზთა ტომები აპსილები, აბაზგები, სანიგები და მისიმიანები. მათი გაერთიანება მოხდა მერვე საუკუნეში — ასე შეიქმნა აფხაზეთის პრინსდომ — საერისთავო. იმავე საუკუნეში ის ძლიერ, ძლევამოსილ აფხაზეთის სამეფოდ გარდაიქმნა. საუკუნეების მანძილზე აფხაზეთი და საქართველო, აფხაზები და ქართველები, რომლებიც სრულიად არამონათესავე ორი ხალხია, ცალცალკე სახელმწიფოებში ცხოვრობდნენ. ერთი იყო საქართველო, მეორე იყო აფხაზეთი. აფხაზეთის სახელმწიფომ თორმეტი საუკუნე იარსება. ზოგჯერ აფხაზეთი და საქართველო ერთ ქვეყნად ერთიანდებოდა, თუმცა მაშინაც არ გახლდათ აფხაზეთი საქართველოს ხელქვეითი ქვეყანა. პირიქით, აფხაზეთის მეფეებმა აფხაზეთის სამეფოში მოიქციეს დასავლეთ და შუა ამიერკავკასიის დიდი ნაწილი და ახალი დიდი სახელმწიფო შექმნეს — აფხაზთა და ქართველთა სამეფო. მეცამეტე საუკუნეში ეს სამეფო დაიშალა, აფხაზეთის საერისთავო დარჩა და კიდევ ექვსასი წელი იარსება. მეთექვსმეტე საუკუნეში აფხაზეთი თურქეთმა დაიპყრო, მაგრამ მაშინაც აფხაზეთმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. აფხაზი ეროვნების მმართველი ჰყავდა აფხაზეთს, როდესაც ის 1810 წელს რუსეთმა შეიერთა. 1864 წლამდე აფხაზეთმა მაინც შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ აფხაზეთი მონათესავე მთიელ ხალხთა გაერთიანების წევრი იყო.

1918-21 წლებში აფხაზეთი საქართველომ დაიპყრო. მენშევიკი ქართველების გენერალმა მაზნიაშვილმა ცეცხლითა და მახვილით გადათელა აფხაზეთი. საქართველოს მთავრობამ გააუქმა აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — აფხაზი ხალხის ყრილობა და დამყარდა ქართველი ნაციონალისტების დიქტატურა.

„აფხაზებო, თქვენს ქვეყანაში წაეთრიეთ" — ასეთი ლოზუნგებით გამოდიოდნენ თბილისში ახალგაზრდები. სოფელ ლიხნში, სადაც ჩვენი ძველი ეკლესია დგას, ისტორიაში სახელგანთქმულ ლიხნაშთაში, ყრილობა მოვაწყვეთ, სადაც ერთხმად მივიღეთ დეკლარაცია აფხაზეთის სახელმწიფოს სტატუსის აღდგენის შესახებ. ამის გამო საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის ლიდერები, მეთაურები დახსნა. როდესაც საქართველოს რესპუბლიკა ცნო გაერომ, ოთხი დღის შემდეგ საქართველო აფხაზეთს თავს დაესხა.

**30 ივლისის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (1998 წ)**

მაშინვე ინტერნეტით გადაიცემოდა იმ დღის ახალ ამბებში დღის სხვა საკითხებთან ერთად, არძინბას მხარეს უსაყვედურეს ქართველების სახლების გადაწვა. დაავალეს ქართველი ლტოლვილების უპირობო დაბრუნება აფხაზეთში. თბილისის მხარეს კი დაავალეს აღარ დაესხნენ თავს დსთ-ს სამშვიდობო გაერთიანების წევრებს.

იმ დღეს გაერომ განიხილა აფრიკაში ეროვნული შუღლის შეწყვეტის საკითხი.

**კოფი ანანთან პრესკონფერენციის სრული ტექსტი.** შეკითხვები სხვა ქვეყნებზე დაუსვეს, აფრიკის, აზიის, ევროპის ქვეყნებში კონფლიქტებზე.

**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის** მოადგილის პრესკონფერენცია. ზოგად საკითხებს განიხილავდნენ.

აფხაზეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის აშშ-ში, ინალ ყაზანის, წერილები გაეროს გენერალურ მდივანთან, აშშ სახელმწიფო მდივანთან, აშშ-ს წარმომადგენელთან გაეროში ბილ რიჩარდსონთან. 1998 წლის ივნისი. ოთხი წერილია. უჩივის საქართველოს პრეზიდენტს შევარდნაძეს, რომ ის ხელს არ იღებს აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნების „ავადმყოფურად აკვიატებულ იდეაზე", იმუქრება. საქართველოს მიერ სამხედრო ნაწილის აფხაზეთში შეგზავნის განმეორების შემთხვევაში „აფხაზეთი პასუხს გასცემს იმ დროს, იმ ადგილას და იმ სახით, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ. გაეროს გენერალურ მდივანს და აშშ სახელმწიფო მდივანს ავალებს „შეაგნებინონ შევარდნაძეს, რომ აფხაზები დამოუკიდებლობის დაკარგვას დღეს აღარ შეურიგდებიან."

**. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისი ჟენევაში.** დახასიათება-დანიშნულება;

. გაეროს ასამბლეის დოკუმენტები;

. გაეროს უშიშროების საბჭოს დოკუმენტები;

. გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის საქართველოში — ლივიუ ბოტას თავმჯდომარეობით მოწყობილი მოლაპარაკებები.

. ქართველთა და აფხაზთა მხარის შეხვედრა ჟენევაში 1997 წლის 17 ნოემბერს. ევროპის უშიშროების საბჭოს მონაწილეობით. მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო და რამდენიმე სამუშაო ჯგუფი.

ჟენევაში შემდგომი შეხვედრა დაიგეგმა 1998 წლის აპრილისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმთავრესი დოკუმენტები ვითარებაზე აფხაზეთში, საქართველო.

**. აბხაზია. ორგ**

აფხაზეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის აშშ-ში, იაპდა ინალ-ყაზანის ტექსტი: აფხაზეთის რესპუბლიკის სამხრეთით — საქართველოა, ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედი.

**ნათელა ფოფხაძე,**
მთარგმნელი




*1710 წლის რუკა. შეადგინა გენსელიუსმა (ჯ. გამახარიას წიგნიდან „აბხაზია", 1997, თბილისი) ქართულ ენაზე მეტყველი მოსახლეობა მითითებულია ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში აზოვის ზღვიდან დღევანდელი აფხაზეთის, ჩერქეზეთის, ყაბარდოს, ბალყარეთის, დაღესტნის, ჩრდილო-ოსეთის ჩათვლით.*

მესამე გვერდიდან

ინტერვიუ

# აფხაზეთში სომხებს ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას გვაიძულებენო, ჯავახეთში?...



არ არის ქვეყნის განვითარების ეროვნული მიმართულება. საქართველოს თუ რაიმე გადაარჩენს, ეს არის ის, რომ მან რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიბრუნოს თავისი ეროვნული სახე, აღიდგინოს მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული ცნობიერება. თუ ეს არ მოხდება, ისე ჩვენ ვერავის დახმარება ვერ გვიშველის, რადგან ეს დახმარება, უმეტესწილად, მიზანს ვერ აღწევს. საქართველოს ეროვნულ განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. ამდენად, ზოგიერთი მინისტრის შეცვლაზე იმედები არ უნდა დავამყაროთ. სხვათა შორის, გუნებაში, ალბათ, მ. სააკაშვილიც ფიქრობს ახალი გიორგი სააკაძის როლი შეასრულოს საქართველოში უცხოელთა დახმარებით — მეუღლე უცხოელი ყავს და გვარი სააკაშვილიც (და არა სააკაძე) წარმოშობით სომხური უნდა იყოს. მე, პირადად, ახალ მინისტრებთან, ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლების განმავლობაში, არავითარი ურთიერთობა არ მქონია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ განათლების ახალი მინისტრი, ბატონი ალექსანდრე კარტოზია. გასული წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში მივლინებით ვიმყოფებოდი ერევანში. ორიოდე სიტყვით ამ მივლინების მოწყობაზეც მოგახსენებთ. ბევრი წაჯექ-უკუჯექობის შემდეგ ამ მივლინების თანხა გამომიყო (რამდენიმე თვის ლოდინის შემდეგ მივიღე ეს ფული) ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა, მაგრამ, ეტყობა, ჩემი ბედი მაშინვე გადაწყვეტილი იყო. ამა წლის დასაწყისში მაიძულეს დამეტოვებინა ეს ინსტიტუტი. როგორც ჩანს, ჩემი მივლინების შედეგებმაც იქონიეს ამ მხრივ გავლენა. ასეა თუ ისე, ერევანში გამგზავრების წინ საჯარო ბიბლიოთეკის დერეფანში გადავეყარე ბიბლიოთეკის იმჟამინდელ დირექტორს, ბატონ ალ. კარტოზიას. რადგანაც ერევნიდან ჩვენთვის საჭირო ვერავითარ ლიტერატურას ვერ ვღებულობდით, დამენანა ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება და შევთავაზე მისი სახელით მიმემართა ერევნის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორისთვის და გვეცადა ქართული და სომხური ლიტერატურის გაცვლა. კარტოზიამ მიპასუხა, რომ ეს დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ასე სახელდახელოდ ამ საკითხის მოგვარება ვერ მოხერხდებოდა. ისე კი, ერევნის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს ჩემი მოკითხვა გადაეცით. მეც გადავეცი ეს მოკითხვა, ისევე, როგორც ჟურნალ „არტანუჯის" რედაქციისაგან გატანებული ჟურნალის სრული კომპლექტი გაცვლის გარეშე, რადგან სამაგიეროდ არავითარი ლიტერატურა არ შემოუთავაზებიათ. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ერევნის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ტერ-ვართანიანი ამავე დროს არის მატეანდარანის (სომხური ხელნაწერების ძალიან ცნობილი საცავის, სამეცნიერო დაწესებულების) ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი.

სამწუხაროდ, ორიოდე დღეში დირექტორმა გამომიცხადა იმის შესახებ, რომ მან შეიტყო ვითომდა ჩემი სომხეთისათვის საზიანო საქმიანობის შესახებ. ამის შემდეგ ჩემდამი მათი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა, ძალიან ცუდად მექცეოდნენ, წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებსაც ან მიმალავდნენ, ან წვალების შემდეგ მაძლევდნენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ერევნის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი და სხვებიც აშკარად მტრული, დაშნაკის თვალით მიცქეროდნენ. მე შევეცადე დამემტკიცებინა მისთვის, რომ სომხეთის საზიანო საქმიანობას კი არ ვეწევი, არამედ რამდენიმეჯერ დავბეჭდე რეცენზია სომეხი ავტორების ისეთ ნაშრომებზე, რომლებიც მიუღებელია ქართველი ხალხისათვის. ასეთად, მაგალითად, დავუსახელე სერგო სერგოს ძე მამულოვის მოსკოვში 1995 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „სომხები საქართველოში". ამ წიგნში სავსებით გაყალბებულია საქართველოს წარსული. მასში არის ფორმულაც: სომხები შემოქმედი ხალხია, ხოლო ქართველები მათი მიღწევების გადამღებნი, ამთვისებელნი. ასე ხდებოდა თურმე დასაბამიდან დღემდე. ამაზე ერევნის ბიბლიოთეკის დირექტორმა მომიგო: — „როგორ გეკადრებათ, მშვენიერი წიგნია, შენ რა, ეჭვი გეპარება, რომ თბილისი სომხების აშენებულია?"

სომხებმა რა და როგორ ააშენეს თბილისში, ეს ცალკე საუბრის საგანია, ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (მხოლოდ ძალიან მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიას, თავისი კოლონიალური პოლიტიკიდან გამომდინარე, აწყობდა და მოამრავლა სომხები თბილისში. მათი ერთი ნაწილი, რუსეთის ხელისუფლებისვე მხარდაჭერით, ქართველი ხალხის ექსპლუატაციის ხარჯზე სასახლეებს იშენებდა თბილისში), მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას შემდეგი: 1918 წლის მიწურულში სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ, მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანებში სომხეთს საშინლად უჭირდა (ახალი მომხდარია სომეხთა გენოციდი თურქთა მიერ, აქედან გამომდინარე უმძიმესი შედეგებით), ომის გამოუცხადებლად ჯარი შემოუსია საქართველოს. მათ ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა თბილისის დაპყრობა. როგორც ჩანს, ეს გეგმაც მივიწყებული არ არის და, აი, თურმე, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორსაც არ ასვენებს ეს აზრი. ასეთი არასასიამოვნო შეხვედრების შემდეგ ერევნის საჯარო ბიბლიოთეკაში, მე თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ ბატონ ალ. კარტოზიასთვის მომეხსენებინა რაც შემემთხვა მის ერევნელ კოლეგასთან. ჩემი ვიზიტის შესახებ მდივანმა ქალმა აცნობა ბატონ ალექსანდრეს, მან კი ჩემი მიღება არ ისურვა იმ საბაბით, რომ მოუცლელი გახლდათ, თუმცა თუ ალ. კარტოზია მართლა ასე მოუცლელი იყო, თანახმა ვიყავი სხვა დროისთვის დავებარებინე, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. უფრო მეტიც, იმავე ხანებში ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკის ერთ თანამშრომელს გამოველაპარაკე დერეფანში. იქვე ორიოდე ნაბიჯზე იდგა ალ. კარტოზიაც და მის გასაგონად საგანგებოდ ავღნიშნე, რომ ერევნის საჯარო ბიბლიოთეკაში ძალიან ცუდად მექცეოდნენ. კარტოზიამ ერთი შემომხედა, მაგრამ იმ წამსვე ზურგი შემაქცია.

ამის შემდეგ აღარ მჯერა, რომ კარტოზიას მინისტრობის დროს, შევარდნაძის პოლიტიკური კურსის პირობებში ეს კიდევ რომ იყოს დასაშვები, ქართველი ბავშვების ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა გახდეს შესაძლებელი. ამის გარეშე კი, როგორც უკვე ითქვა, ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილი, მათივე ძვლებით გაპოხიერებული საქართველოს მიწა-წყალი დაიღუპება. ცხადია, ჯავახეთსაც ისევე მოაგლეჯენ საქართველოს, როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლო მოჰგლიჯეს. საუბედუროდ, სომხებმაც ქართველები დაბალ ლობედ მიგვიჩნიეს. მათ დიდი ხანია აკვიატებული აქვთ ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული აზრი, რომ ნახევარი საქართველო ისტორიული სომხეთის ნაწილია, ქართველებმა ის, თითქოს, მიიტაცეს და ახლა სომხებმა უკანვე უნდა დაიბრუნონ. სინამდვილეში სომხეთა ამგვარი პოზიცია არაფრით განსხვავდება აფსუების და ოსების პოზიციისგან. როგორც ოსებს და აფსუებს ისტორიულად არ ეკუთვნოდა სამაჩაბლო და აფხაზეთი და მოგვიანებით ჩამოეთესლნენ ისინი იქ, ქართველი ერის შავბედობის შედეგად, ჯავახეთზე და სხვა ქართულ მხარეებზე სომხეთა პრეტენზიებსაც საღი აზრი ვერავითარ გამართლებას ვერ მოუძებნის. მაგრამ მოხდა ისე, რომ 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის წყალობით, სომხებმა მიიტაცეს უძველესი ქართული მხარე, ლორე-ტაშირი (რომლის მტერთაგან დასაცავად ქართველებს საუკუნეთა განმავლობაში ზღვა სისხლი აქვთ დაღვრილი). ახლა კი სომხების აზრით, ჯავახეთის დროც მოვიდა. სომხებს აწყობთ საქართველოს დასუსტება, დაშლაც, რათა თვითონ გაიადვილდეთ ჯავახეთის და ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეების მიტაცება.

ესაუბრა
ქეთი გეჯაძე

სპორტი და ქველმოქმედება

# ქართველ მთამსვლელთა ექსპედიცია ჰიმალაებში მიემგზავრება



1998 წლის 21 აგვისტოს ქართველ მთამსვლელთა ექსპედიცია საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარის გიორგი თორთლაძის ხელმძღვანელობით ნეპალში მიემგზავრება ჰიმალაების მთების 8.164 მეტრი სიმაღლის მწვერვალის მანასლუს დასალაშქრავად. ექსპედიციაში ბატონ გიორგი თორთლაძის გარდა კიდევ 6 კაცია — გელა ოთარაშვილი, ბიძინა გუჯაბიძე, ზურაბ კუჭავა, დავით ჩანტლაძე, მერაბ ნემსიწვერიძე და ზურაბ ასახიშვილი.

ამ ეროვნული საქმისათვის საჭირო სახსრები მთლიანად ფირმა „ომეგა"-მ გაიღო, რისთვისაც, ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი თორთლაძემ ულრმესი მადლობა გადაუხადა ამ ფირმის პრეზიდენტს ზაზა ოქუაშვილს, რომელმაც საქართველოს მთამსვლელებს უსახსრობის გამო 3 წლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ (ბოლო ექსპედიცია 1995 წელს იყო) საშუალება მისცა ქართველ სპორტსმენებს თავიანთი ძალები მოესინჯათ.

ჩვენი დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების პირობებში ფრიად სასიამოვნოა, რომ მეცენატობა, სპონსორობა და ქველმოქმედება ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ჩვენს რესპუბლიკაში, რომ უკვე გამოჩნდნენ ზუბალაშვილებისა და სარაჯიშვილების მსგავსი პატრიოტი ქართველი ბიზნესმენები, რომელთა შორისაა ბატონი ზაზა ოქუაშვილიც, რომელიც აქტიურად ეხმარება საქართველოს ინვალიდთა ასოციაციას, აფხაზეთიდან დევნილებს და საქართველოს სახელის საერთაშორისო არენაზე გამოტანისთვისაც ზრუნავს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ბატონმა ზაზა ოქუაშვილმა თავისი ინიციატივითა და სახსრებით თბილისის 31-ე ქარხანაში ლითონკონსტრუქციებისაგან ეკლესია დაამზადებინა, რომელიც ერთდროულად 23 მლოცველს იტევს. ეს ეკლესია სულ მალე დაიდგმება ყაზბეგის რაიონში, მყინვარწვერის ფერდობზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე და ასეთ სიმაღლეზე მოქმედი ერთადერთი ეკლესია იქნება მთელს მსოფლიოში.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ გიორგი თორთლაძემ მწვერვალ მანასლუს დალაშქვრის კონკრეტული მარშრუტის სირთულეებზეც ისაუბრა, აღნიშნა, რომ ექსპედიცია ყოველმხრივ აღჭურვა ფირმა „ომეგა"-მ და, თუ რაიმე გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ არ შეგვიშალა ხელი, შევძლებთ ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი სამშობლო საერთაშორისო არენაზე. ამასთან, ქართველი მთამსვლელები მწვერ-



ვალ მანასლუზე საქართველოს ეროვნულ დროშასთან ერთად „ომეგა"-ს საფირმო დროშასაც აიტანენ.

ჩანაფიქრის წარმატებით დაგვირგვინებასა და მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ, კავკასიის მთის შვილებო.

თემურ კიკნაძე

# ქუთაისო! — საფარდო და სამკისო! ყაჩაღები თერჯოლაში რატომ გააგზავნე?

მეხუთე გვერდიდან

ობაც!

რაღა დარჩა? გაიკვირვებს გულუბრყვილო მკითხველი: დამნაშავენი დაისაჯოს და სამართალმა პური ჭამოს!

აგაშენათ ღმერთმა! თანამედროვე ქართული იურისდიქციის ენაზე ზემოხსენებული ფრაზა ასე ითარგმნება: პოლიციამ რაღა ჭამოს, დამნაშავეა თუ შეურაცხადი ქუთაისის სამხედრო პოლიცია, მისმა კუჭმაც ხომ უნდა მიიღოს ყოველდღიური რაციონი? მაგრამ ფირმა „ბერმუხას" ხარჯზე?

დიახ, ქუთაისში ლოგიკამ თავი ჩამოიხრჩო...

ჩვენდა სამწუხაროდ და საკუთარი ოჯახის საუბედუროდ ერთ-ერთმა მამხილებელმა მოწმემ ზაურ ედიბერიძემ თავი ჩამოიხრჩოო, როგორც კი შეიტყო სამხედრო პროკურორის მოადგილემ ნოდარ ოქრუაშვილმა ტელეფონის წკრიალა ზარით გაათავისუფლებინა დამნაშავენი — იფიქრა: წამებით მომკლავენო და... ტირილით დაბადებული კაცი ტირილით გავიდა წუთისოფლიდან, სიმართლის მაძიებელი შეყილაძე და ფარლალავა კი ზემოხსენებულ „საქმეს" ჩამოაშორეს.

ესეც ასე... მოიფშვნიტეს ხელები იმერეთის სუპერ-დემოკრატიის პირველკურსელებმა — მამხილებელი მოწმე მკვდარია, დროზე მოიფიქრა თვითმკვლელობა... აცხონოს ღმერთმაო და... მისი მოსაგონარიც კი დალიეს ნაძირალებმა. ამის შემდეგ რამდენიც უნდათ ჯღაბნონ პრესაში, გაასაჩივრონ საქართველოს განუმეორებელ პრეზიდენტთან, ვიდრე ბატონი ედუარდი ამ ამბავს შეიტყობდა, აღარც ჩვენ ვიქნებით ცოცხალთა შორისო და მელანქოლიური ღიღინით დაასრულეს ქეიფი:

„წუთისოფლის შვილები ვართ
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება"-ო.

ჩვენც ვიღიღინოთ ღრმად პატივცემულო შაშიაშვილო? მე რა შუაში ვარო — გაცხარდებით თქვენ, მაგრამ საჯაროდ მოგახსენებთ: ბატონ ედუარდ შევარდნაძეს რომ ჩაუკაკლავთ ხოლმე სახელმწიფოს ბიუჯეტში ამდენი და ამდენი ლარი შეიტანა იმერეთის რეგიონმაო — ერთი სიტყვა მაინც წამოგცდენოდათ იმ ყაჩაღუნების თაობაზე? ეტყობა, ქუთაისელმა პოეტებმა და კომპოზიტორებმა დააქვეითეს თქვენი მეხსიერება.

არც მე დაგრჩებით ვალში და თბილისიდან ერთ სიმღერას შეგაწევთ, აბა, შექსპირივით გულისამაჩუყებელი მონოლოგით ხომ არ დავასრულებ ამ „პაწაწინა" ტრაგედიას?

თბილისიდან ქუთაისში
მინაბერო ქარო,
შაშიაშვილს შეუბერე —
გკითხავს, ვინა ხარო?!
უპასუხე, რომ „ხუნტა" ხარ
არ იცეკვო ტვისტი...
ამას თვითონ მიგიხვდება
ძველი კომუნისტი.
მისამღერი:
ქუთაისი ქალაქია
კომუნიზმის მშენებელი,
გელათიდან გაქცეულა
დავით ალმაშენებელი.

გუბერნატორო! დაუბრუნეთ ქუთაისის სამხედრო პოლიციის მიერ გატაცებული ქონება ფირმა „ბერმუხას". არ იცით სად არის გადამალული? თქვენგან ხელის ერთ განვდენაზეა, ყოველ შემთხვევაში, სამხედრო პროკურატურის მუშაკი ბუდუ შეყილაძე მიგასწავლით.

ხალხი იმასაც ლაპარაკობს: ჩვენმა გუბერნატორმა ისიც კი იცის, რომელ ნალიაში გაფხაკუნდება თაგვი, მაგრამ ცხვირწინ დალაგებულ ნაქურდალს ვერ ხედავსო. დაყაჩაღებული ფირმა „ბერმუხა" რომ აღორძინდეს, ამაშიაც საქართველოს პრეზიდენტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა?

P.S. დამნაშავეთა გვარები განგებ არ დავასახელე, ვაითუ სირცხვილისაგან თავი მოიკლან. ვიცი ჩემი ბედ-იღბლის ამბავი, მე დამბრალდება მათი ორმაგი უბედურება.

ნოდარ ხვედელიძე
უღბლოთა პირველი პრეზიდენტი

*რედაქციისაგან:* შაშიაშვილის დემოკრატიულობის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, პრესა-ტელევიზიით ასე ჩანს და იმედია, ეს დემოკრატი კაცი დემოკრატიულად გადაწყვეტს საკითხს და ყოველგვარი სასამართლო ინსტანციების გარეშე შეძლებს დაუბრუნოს საკუთარი ქონება ფირმა „ბერმუხას". მით უფრო, რამდენადაც, ვიცით, შაშიაშვილი ენერგიულად უჭერს მხარს ყველა პატიოსან ბიზნესმენს და საქმის კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის კოლორიტი

# პურის სახლთან ნიკალა მელოდება

ძველი თბილისი — ყველასათვის საყვარელი და საამაყო ხედით. აბანოთუბანი თავისებური მიმზიდველობა, სიკოხტავე, მეიდნის უბნის ყველა ენაზე — სამეზობლო გადაძახილები.

უცხოელი სტუმრები გულდაგულ, შორიდან აკვირდებიან მთაზე აივნიან სახლებს და



„პურის სახლთან" სურათებს იღებენ.

მაინც, როგორ გამშვენიერებულა ასე უცბად ეს ბაღი, როგორ მოუხდა ქანდაკებას („ფიროსმანს-კრავით") — ასეთი გარემოცვა — ვფიქრობ ჩემთვის და წინ მიმავალ შეყვარებულ წყვილს ვაყოლებ თვალს. მათი საუბარიც ჩემს ფიქრებს დაემთხვა — „უდავოდ გემოვნებიანი, სულით პოეტური ხალხი უნდა იყვნენ ამის გამკეთებლები."

მარჯვნივ „პურის სახლი", მარცხნივ — განახლებული საპურმარილო „ნიკალა", მშვენიერი ფერადი შადრევანითა და ლამაზი ლამპიონებით. ირგვლივ უცნაური ყვავილები, მშვენიერება და სისადავე, უბრალოება და ეროვნული მედიდურობა ჩემი ყურადღება სიტყვა „საპურმარილომ" მიიქცია. აბა, თბილისში, რესტორნებს, კაფეებს რა გამოლევს... საკმარისზე მეტიც კია; ყოველ ნაბიჯზე უცხო ენაზე წარწერები ვითომ ამშვენებს „სუპერმარკეტებსაც". ათასგვარ ფირმებსა და მაღაზიებს. ბაღებში, ადგილს ვერ იპოვი, რომ ჩამოჯდე და დაისვენო... ერთ ფინჯან ყავაზეც კი, ნამდვილად არ გამოგივათ ასე რესტორნებში სტუმრობა... აქ კი, შეიძლება! თუმცა, რატომ შევადარე, აქ ყველაფერი ქართულით, ეროვნული სულით იწყება და მთავრდება...

ჩვენ გვინდა დიდი მადლიერების სიტყვები ვუთხრათ იმ ადამიანებს, ვინც ქართული სტუმარ-მასპინძლობა ამ არეულ დროშიც შეძლო და შეინარჩუნა... ბევრჯერ მინახავს თონესთან მდგარი უცხოელი სტუმარი — გაკვირვებული სახით და ქართული შოთით დასაჩუქრებული — წასვლას რომ აღარ ფიქრობს...

დიახ, თბილი სიტყვები უნდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, ვინც თბილისს კიდევ ერთი ლამაზი ადგილი აჩუქა, ვისთვისაც მოგებისთვის მუშაობა კი არა, ქართველობა და ეროვნულობა მეტად ფასობს და უმთავრესია!

ობიექტის დირექტორია ბატონი **თენგიზ ბაზერაშვილი**. ქართული სტუმართმოყვარეობის თავისებური „ხელოვნებათმცოდნე" — რომელიც მრავალმხრივ განათლებული ადამიანია, სად არ უმუშავია.. გეოლოგი, შემდეგ სწავლობდა პურის ტექნოლოგიურზე — დაამთავრა მევინეობის ფაკულტეტი, იყო კვების მრეწველობის ფაბრიკის დირექტორი, ასევე მიღებული აქვს თბილისის ბიზნეს სკოლაში ეკონომისტის განათლებაც.. მას იცნობენ სპორტის სამყაროშიც.

„პურის სახლისა" და „ნიკალას" კომპლექსის სილამაზის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია **მანანა ჯიშკარიანი**. იგი ახალგაზრდა, მშვენიერი ქალბატონია, რომელიც 15 წელია აქ მუშაობს, მიღებული აქვს საინჟინრო-ეკონომიური განათლება. 22 წლის ასაკიდან მუდამ ძველი თბილისის უბნებში — ბარათაშვილზე კაფე „ნარინჯის", შემდეგაც „ახალი ლაღიძის" დირექტორად მუშაობდა. უაღრესად დახვეწილი, პოეტური ნატურა, რომლის საუბარმაც გამაოცა — და ვინატრე: „რა იქნება, საქართველოში ასეთი პატრიოტი, ალალი ადამიანები ამ სისტემაში მრავლად იყვნენ მეთქი?!"

რამდენჯერ პური დაგვიმტვრევია და შინაურებს შინ წაგვილია, თუ მისი ხარისხი არ მოგვწონებია — ცოტა და კარგი! — ეს ჩვენი უხილავი დევიზია... ამბობს ბატონი თენგიზი და ისევ აგრძელებს თხრობას.

— „ეროვნული დარბაზის" ჩვენება უცხოელი სტუმრები-



სათვის დიდი ხანია რაც დავამკვიდრეთ. დიდ მოწონებას იმსახურებს ქართულად გაწყობილი ტაბლა, მრგვლად მოხარშული ქათამი, შოთის პურე-



ბი, მწვანილი, ლობიო, ღვინო, კერამიკული ჭურჭელი, მოწნულზე ხილი, ასევე ყოფითი ნივთები, რასაც ყველა ქართველი ისტორიულად ოჯახში იყენებდა.

უნდა ნახოთ სტუმრების გაკვირვებული, ინტერესიანი თვალები, როდესაც მუზეუმივით ათვალიერებენ ქართულ კერიას. აქვე სურათებს იღებენ და თან უამრავი გულუბრყვილო კითხვები უჩნდებათ ხოლმე თონესთან დაკავშირებით.

როდესაც დავაკვირდით, რომ „ეროვნულმა დარბაზმა" ასეთი დიდი მოწონება დაიმსახურა ყველა ჩამომსვლელის თვალში, გადავწყვიტეთ ყოფილიყო ქართული სამზარეულოც, რათა მომსვლელს მარტო ჩვენი პური კი არ გაესინჯა, არამედ ნებისმიერი ტრადიციული ქართული კერძი.

რომ ვამტკიცებთ და ვამბობთ, ქართული სუფრა აკადემიააო, ალბათ აქაც ნახეს. ამ დარბაზში ბევრი ქართული ქეიფი მინახავს, უაზროდ მთვრალი კი არასდროს! უბრალოდ, აქ სხვაგვარად ვერ განეწყობი... არასდროს დამავიწყდება რეზო ლაღიძის სტუმრობა და მისი თამადობა. რადიო, ტელევიზია ხომ ჩვენი ხშირი სტუმრები არიან და წლევანდელი საახალწლო გადაცემაც აქ გადაიღეს. ამ დარბაზიდან დაილოცა საქართველოს ყველა კუთხე.

რეჟისორმა გიული ჭოხონელიძემ ჩვენთან დაიწყო ერთ-ერთი ფრაგმენტის გადაღება ფილმიდან „ანთიმოზ ივერიელის", სადაც გამოყენებულია ყველა ეს ნივთი და დეკორაცია.

ქალბატონმა მანანამ საინტერესოდ ისაუბრა ამ ისტორიული ადგილის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ თონე ქართული პურის ცხობის თვალსაჩინოების დემონსტრირების საუკეთესო მაგალითად რჩება.

გემოვნებაზე არ დაობენო, იტყვიან, მაგრამ მე მიმაჩნია, სწორედაც უნდა იდაონ, საკამათო უნდა იყოს სილამაზე, ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ისეთი რამ, რაც ყველა ჩვენთაგანის ხასიათში და ბუნებაშია. როდესაც სტუმარი ჩამოვა და ამას ყველაფერს „კომპლექსში" ნახავს... აქ პურის ცხობას, იქ ჩვენს ძველებურ დარბაზს, მერე ქართულ ეროვნულ კერძსაც გასინჯავს... თავისებურ ქართულ ოჯახურ ატმოსფეროსაც მეტად შეიგრძნობს.

საქმეს გულით უნდა მივუდგეთ, რადგან მოსწრებაზე გაკეთებულ საქმეს ფასი არა აქვს. ყოველი დღე მიყვარს და მიხარია, აქ რომ მოვდივარ, სულ იმას ვფიქრობ, კიდევ რა უნდა მივამატო ან დავაკლო, რომ უცხო მნახველმა ქართული სისადავე და ბუნებრიობა შეიგრძნოს. რადგან შეამჩნიეთ, გავბედავ და გეტყვით: უბრალოდ — ყვავილიც არ გადაგვიგდია აქედან. აი, ეს გვირილებიც რომ გახმა, შემეცოდა და ამ როდინში მოვათავსე. მგონი უხდება, არა?! ბუნებასთან ალბათ ადამიანები ახლოსა ვართ, მაგრამ მთავარია, ვინ როგორ ხედავს ამ სილამაზეს... დღეს საქართველოში სტუმრის მიღება და გაცილება არავის ეშლება, მაგრამ ვცდილობთ ყველა კატეგორიის ადამიანს შეეძლოს აქ შემოსვლა — ამიტომ ჩვენთან ფასებიც დაბალია. მიხარია, როცა ვამჩნევ, რომ უკვე



ოჯახებით მოდიან და მთელი ღამითაც არ ეთაკილებათ ქალბატონებს აქ სტუმრობა. ჩვენი მიმტანები — არც ერთი მათგანი პროფესიონალი არაა, სპეციალობით პედაგოგები არიან.

ეს, რა თქმა უნდა, ამ დროების ამსახველი ფაქტორია, ქვეყნის სოციალურ მდგომარეობას წარმოაჩენს, მაგრამ სამაგიეროდ, მომხმარებელი კმაყოფილია, გრძნობს, რომ სინდისიერად და კულტურულად ემსახურებიან.

ჩვენი გეგმები ტრადიციულია, რომელიც შერწყმულია ეროვნულობასთან და ბუნებრიობასთან. დღეს პურის ცხობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ პური რომ არ ცხვებოდეს, „პურის სახლში" ეს დიდი მკრეხელობა იქნება. რა ხელისუფლება, რა მთავრობა უნდა მოვიდეს, რომ ასეთ საქმეში მხარი არ დაგვიჭირონ.

— ერთხელ შტატებიდან ჩამოსულ სტუმარს ვკითხე, „თქვენ თუ გაქვთ ამერიკული პური მეთქი" — არაო, ჩვენ პურის და ღვინის კულტი მხოლოდ ტაძარში გვაქვსო. ვიფიქრე, „მთელი საქართველო მაშინ ტაძარი ყოფილა მეთქი."

თურმე, ებრაულ ენაზე სახლი პურისა — ბეთლემს ნიშნავს. პური ასევე ნაცნობი სიტყვაა ინდოეთში, ზღაპრული სილამაზის ქვეყანაში და ტაჯიკეთშიც. მათთანაც პური — პურია!

ისიც მახსოვს, ერთხელ, ჩვენმა პურის მცხობელმა ვალიკო არჩვაძემ რომ სთქვა, „პურს პატიოსანი კაცი უნდა აცხობდეს, რადგან ცომს რაიმე თუ დააკელი და თან გული და სული არ ჩაატანე შიგნით, პირდაპირ ცეცხლში ვარდება, ნახშირდება და მთელი ეს შრომა წყალს მიაქვსო."

— საინტერესო კურიოზს ვუსმენ და მხოლოდ ახლაღა შევამჩნიე — ხელოვნურ ყვავილებს ნამდვილი ფოთლები რომ გამოუსხამთ! ესეც კურიოზია თუ სასწაული?!

მე უკვე ვიცი, ეს როგორც მოხდა, მაგრამ ახსნისაგან თავს შევიკავებ. მიხვალთ და ნახავთ, რამეთუ გაგონილს ნანახი სჯობსო — უთქვამთ. ასე, რომ საქმის სიყვარულსაც ბევრი რამ შესძლებია.

გული სიამაყით მევსება, რადგან ცნობილი სიმღერისა არ იყოს... „მე „გორგასალის" ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას."

**ქეთი ჩადუნელი**

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

*ბატონო პრეზიდენტო!*

კერძო სახლის მფლობელთა სახელით მოგმართავთ თქვენ იმ კანონთან დაკავშირებით, რომელიც პარლამენტმა მიიღო და თქვენ დაამტკიცეთ: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" და მოგახსენებთ, რომ ამ კანონის მიღება ტოლფასია იმ სამხედრო კომუნიზმისა და სეკვესტრაციისა, რომელსაც ბოლშევიკები (იგივე კომუნისტები) ატარებდნენ კერძო საკუთრებასთან ბრძოლის პერიოდში.

ყველა საკითხი, რომელსაც ეხება ზემოხსენებული კანონი, მოწესრიგებულია და მოცემული ძველ და ახალ სამოქალაქო კოდექსებსა და საშინაო კოდექსში. განა საჭიროა ერთი და იმავე საკითხზე ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო კანონის დამკვიდრება, რომელმაც უკვე შექმნა ჩვენს საზოგადოებაში გაუკითხაობა და დაძაბულობის ახალი კერა?! ასეთ უთავბოლობას ვერც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში ვერ ნახავთ.

სახლის პატრონები აცხადებენ პროტესტს და მოითხოვენ, ნაცვლად ზემოხსენებული კანონისა, რომელიც კერძო სამართლის საწინააღმდეგოა, ერთხელ და სამუდამოდ აღიარებულ იქნა საკუთრების სამი პრინციპი და მისი დაცვა: ადამიანი არა მარტო ფლობდეს საკუთრებას, არამედ თვითონ განკარგავდეს და სარგებლობდეს თავისი ქონებით და არა სხვა პირი, რა თანამდებობაც არ უნდა ეჭიროს.

ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს კერძო სახლის პატრონის დევნას და შევიწროებას!

თუ მესაკუთრის პრეროგატივაა, ვისაც უნდა მიაქირაოს ბინა, თავისი ქონება, ასეთივე ხელშეუხებელი უფლებაა შესთავაზოს დამქირავებელს თავისი პირობები, გარიგება დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის ურთიერთშეთანხმების საქმეა და არა რომელიმე კანონმდებლის კაპრიზისა. დავას სწყვეტს სასამართლო და არა პარლამენტი.

თუ სახელმწიფო აღიარებს კერძო საკუთრებას, როგორც ქონებრივ ურთიერთობათა საფუძველს და სთვლის კარდინალურ პოლიტიკად, მაშინ უნდა დაიცვას კიდეც მესაკუთრე და მისი უფლებები ყოველგვარი ხელყოფისაგან, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს.

დროა, საქართველოს სახელმწიფომ ისწავლოს თავის მიერ აღიარებული პრინციპებისადმი ერთგულება და დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ცივილიზებული მსოფლიოს თვალში დაკარგავს ყოველგვარ პატივისცემასა და ნდობას.

კერძო საკუთრება და მესაკუთრე სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა გახდეს, მას კანონი უნდა იცავდეს, როგორც ეს თქვენ ბრძანეთ პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის გაერთიანებულ სხდომაზე თქვენი დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ შეხვედრაზე, რომელსაც სჭირდება პრაქტიკულად განხორციელება და არა საწინააღმდეგო კანონის მიღება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენი და ჩვენი სიტყვა, ამჯერად მაინც, არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა და ჩვენამდე მოაღწევს ხმა სამართლისა, რომელიც აღგვიდგენს წართმეულ უფლებას ჩვენი ქონების ჩვენს მიერ განკარგვისასა და სარგებლობისას.

*პატივისცემით რეპრესირებულ მესაკუთრეთა უფლებების აღდგენისა და დაცვის კავშირის წევრთა სახელით*

*დ. ადამაძე, ვ. კალანდაძე, გ. მინდიაშვილი, ე. ჯაში და სხვები*

# ივანე ჯავახიშვილი საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების შესახებ

*დასასრული. დას. იხ. „საქართველო“ №52*

მომდევნო, 1796 წლის მარტში რუსეთმა სპარსეთს ომი გამოუცხადა და რუსთა ჯარმა ვ. ა. ზუბოვის სარდლობით დაიკავა დარუბანდი, ყუბა და ბაქო, მაგრამ ამის შემდეგ აღარ დაძრულა, რადგან ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ ახალმა იმპერატორმა პავლე II-მ ბრძანა ლაშქრობის შეწყვეტა. სხვათა შორის, ეკატერინე II-ის მანიფესტში აღნიშნული იყო (და ამას საბჭოთა ისტორიკოსებიც იმეორებდნენ) თითქოს რუსეთმა ამჯერად თავი გამოიდო აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების საპასუხოდ და საერთოდ სპარსთაგან ამიერკავკასიის თავდასაცავად.

ერთი სიტყვით, „რუსეთის მთავრობას საქმე ისე ჰქონდა საქვეყნოდ მოჩვენებული, ვითომც ის საქართველოს აოხრების გამო შურის მაძიებლად გამოდიოდა და შუშისა, შირვანისა და დაღისტნის ხანებისა და ყარაბაღის მელიქების მყუდროებას იცავდა, მაგრამ ეს მხოლოდ თვალების ასახვევად და შესაცდენად იყო გამოცხადებული. ომის ნამდვილი მიზეზი და მიზანი კი სულ სხვა ყოფილა.“[1] რუსეთს, სახელდობრ, თავისი ეკონომიკური (სავაჭრო) ინტერესები ჰქონდა ირანში და მისი ხელში ჩაგდებით — ინდოეთში. ამას რომ თავი დავანებოთ, თუ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას საქართველოს ბედ-იღბალი აწუხებდა და გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებზე ფიქრობდა, მაშინ სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებანი ხომ ახალ იმპერატორსაც ეხებოდა. მაგრამ არც პავლე I და არც შემდეგ ალექსანდრე I ამაზე სულაც არ წუხდნენ.

1797 წლის გაზაფხულზე აღა-მაჰმად-შაჰი (უკვე ამ ტიტულით) შუშის ხანის დასასჯელად დაიძრა. მას განზრახული ჰქონდა, რომ აქედან წამოვიდოდა აღმოსავლეთ საქართველოს ასაოხრებლად, მის მცხოვრებთ აჰყრიდა და შაჰ-აბას I-ის მსგავსად სპარსეთში გადაასახლებდა[2]. მაგრამ წმინდა შემთხვევითობის მიზეზით, შაჰის მკვლელობის გამო, საქართველო გადაურჩა დიდ განსაცდელს, რუსეთი კი ამჯერადაც არავითარი გარანტი არ იქნებოდა.

ქართველობა რუსეთის მიმართ კვლავინდებურად დიდ გულუბრყვილობას იჩენდა. ჩვენი წინაპრები ფიქრობდნენ „რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსთვის მართლაც გული შესტკიოდა და მისი მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუშრეტელი რუსებისადმი ნდობა ამაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორმწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ.“[3]. რასაკვირველია, რუსეთის პოლიტიკოსები ამ ნდობის ფაქტორს ადვილად შეამჩნევდნენ და კარგადაც გამოიყენებდნენ კიდეც.

მართლაც, ივანე ჯავახიშვილის აზრით, „რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც-კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის, ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული“.[4]

1. დამოკიდებულება ..., გვ. 44.
2. იქვე, გვ. 49.
3. დამოკიდებულება ..., გვ. 51.
4. იქვე, გვ. 52.

რა თქმა უნდა, საქართველო მტრულ მაჰმადიანურ გარემოცვას რაღაცნაირად უძლებდა საუკუნეების მანძილზე, თუ ჩვენმა წინაპრებმა პოლიტიკური გეზი რუსეთზე აიღეს, ფიქრობდნენ, რომ ამ გზით ჩვენი ერის ცხოვრება უფრო გაუმჯობესდებოდა. მაგრამ ჩანაფიქრის საპირისპიროდ შედეგები უარესი აღმოჩნდებოდა ხოლმე. მოულოდნელი აღმოჩნდა აგრეთვე 1801 წელი და შემდგომი ხანა, როცა გაქარწყლდა ქართველთა იმედები პოლიტიკური ავტონომიის თაობაზე და საქართველო ფაქტობრივად დაპყრობილ, ანექსირებული იქნა რუსეთის მიერ (როგორც ჩანს, სწორედ ასე ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილი).

ივანე ჯავახიშვილი განხილული ნარკვევის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ „აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“.[1]



ამ სტრიქონებს ავტორი წერდა 1919 წლის თებერვალ-მარტში: თუ გავითვალისწინებთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მწარე გაკვეთილებს, 1920-21 და 1992-96 წლებში ივანე ჯავახიშვილის სიტყვები ნამდვილად წინასწარმეტყველური ხასიათს იძენენ.

რასაკვირველია, არ უნდა ვიყოთ გულუბრყვილონი და ვიგულისხმოთ, რომ საქართველოსადმი აბუჩადამგდები დამოკიდებულება მხოლოდ რუსეთის მმართველ (პოლიტიკურ) წრეებს ახასიათებდა. ივანე ჯავახიშვილი ამგვარ მიამიტობას არ იჩენდა. 1927 წლის 7 აგვისტოს სიმონ ჯანაშიასადმი გაგზავნილ წერილში იგი სარკასტულად შენიშნავდა: „გაზეთების მიხედვით ჩრდილოელი მეცნიერნი სირინოზის ხმით ქართულ (!) მეცნიერებთან თანხმობრივი მუშაობის ბაიათებს დაჰმღერიან. რისი მომასწავებელია? ეს ხომ „სამეცნიერო მიზნით“ წარვლენილობისათვის მიღებული ფულის გამამართლებელ საბუთად გამოსაყენებელი სიტყვის მასალა არ არის?“ პეტერბურგელი (ლენინგრადელი) „კავკასიოლოგის“ გენკოს შესახებ კი ასე წერდა: „... რაღა უნდა გამიკვირდეს იმ გადამთიელისაგან, რომელსაც ჩემისთანა ადამიანის სულისკვეთების გაგებაც კი არ შეუძლიან, რომლისთვისაც, რუსულის გარდა, სხვა ეროვნული კულტურისა და მეცნიერებისათვის ზრუნვა საძულველია“.[2] ამავე წელს გამოსულ ივანე ჯავახიშვილის ცნობილ საენათმეცნიერო ნაშრომში ვკითხულობთ: „სამწუხარო გარემოებაა, რომ აკად. ბროსსეს ინტენსიური, გატაცებული მუშაობისდა მიუხედავად, ქართველთამცოდნეობამ ისევე, როგორც სომეხთამცოდნეობამ რუს ინტელიგენციაში არავითარი ინტერესი არ გამოიწვია, არცერთი ამ ენათგანი არც ერთ რუს მკვლევარს თავისი სამეცნიერო მუშაობის საგნად არ გაუხდია.“[3]

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, არ ნიშნავს თითქოს ივანე ჯავახიშვილი საქართველოზე რუსეთის ზემოქმედებას აბსოლუტურად უარყოფითად აღიქვამდა და აფასებდა, არ ხედავდა რა ამ პროცესის დადებით შედეგებს 1801-1917 წლების მანძილზე. ეს პოზიცია ყველაზე სწორია და შორსა დგას ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ცალმხრივი გაგებისაგან.

**გურამ ყორანაშვილი**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

1. დამოკიდებულება ..., გვ. 1.
1. იხ. ივანე ჯავახიშვილი. წარსულის ფურცლები. პირადი მიმოწერა, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს გამოცემა, თბილისი, 1996, გვ. 12.
2. იხ. ივანე ჯავახიშვილის წერილი (1937 წლის 7 მარტს) ვარლამ დონდუასადმი. გვ. 56.
3. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, 1992, გვ. 7

ქველმოქმედება

# „წარსულის ტკივილი მომავლის იმედით უნდა შევცვალოთ...“

თავის დროზე ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების არასტაბილურმა მაჯისცემამ თუ რა შედეგებამდე მიგვიყვანა, ყველასათვის ნათელია. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საქართველოში მიმდინარე პროცესები ასეულობით ადამიანის ტრაგიკული ბედისწერის მიზეზი შეიქმნა... და მაინც, მიმდინარე მოვლენათა შორის საომარი ვითარება ყველაზე რეალურ საშინელებად იქცა, საშინელებად, რომლის ბურუსიდანაც საქართველოს მერამდენე წელიწადია თავი ვერ დაუღწევია.

სულიერად, მორალურად და ფიზიკურად განადგურებულ თანამემამულეებს თანაგრძნობა, მხარდაჭერა და დახმარება ესაჭიროებათ. საქართველოში არაერთი ორგანიზაციაა, რომელნიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებიან და მათი ძირითადი საზრუნავი ომის ინვალიდთა დახმარება და თანადგომაა.

ერთ-ერთი ასეთი ორგანიაცია, რომლის საქმიანობის უკეთ გაცნობისათვის მის მაგისტრს, **ვახტანგ ჯორჯიკიას** მივმართეთ, უკვე ხუთი წელია ფუნქციონირებს და მას „წმინდა თამარ მეფის ორდენი“ ეწოდება. ამ ორგანიზაციის მიერ გაწეულ დახმარებას რამდენიმე კატეგორიის ადამიანები ღებულობენ. ესენი შეიძლება იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყოფილი დისიდენტები, პოლიტიკური ოპონენტები, აგრეთვე, თავისთავად ცხადია, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის ინვალიდები, დაღუპულთა ოჯახები. როგორც ბატონმა ვახტანგმა აღნიშნა, 1995 წლის ივლისში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო ინვალიდთა ორგანიზაციების დახმარება. კანონი სულ რამდენიმე თვე მოქმედებდა და ამ პერიოდში „წმ. თამარ მეფის ორდენის“ მიერ 64 ათასი ლარი გაიცა დახმარების სახით. დამეთანხმებით, თანხა საკმაოდ სოლიდურია და არცთუ ისე ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა დახმარება, რომელიც გაიცემა პენსიების სახით, მედიკამენტებით, შეძლებისდაგვარად ჩასაცმელით, დახმარება შეიძლება იყოს საკვები პროდუქტების სახითაც. მაგრამ 1996 წლის მარტში მოხდა კანონის შეზღუდვა. მხოლოდ 1998 წელს იქნა კვლავ აღდგენილი.

ერთი წელია, რაც შეიქმნა ინვალიდთა ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო. რომლის დირექტორი ბატონი გია ძნელაძე გახლავთ. საბჭოში 16 არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული. საბჭოში შედის აგრეთვე ინვალიდთა ლიგა და სპორტული ორგანიზაცია დავით მაისურაძის ხელმძღვანელობით. როგორც ბატონმა ვახტანგმა ბრძანა, სწორედ მათ მრავალი საინტერესო ღონისძიება აქვთ დაგეგმილი.

— **ჩვენს მიერ შემუშავებული კანონი ინვალიდთა შესახებ პარლამენტმა დაამტკიცა** — გვითხრა ბატონმა ვახტანგმა და ისიც აღნიშნა, რომ არსებობს პრეზიდენტის ბრძანებულება №812, რომელიც 1997 წლის აპრილში იქნა მიღებული, სადაც აღნიშნულია, რომ კანონი ინვალიდების შესახებ იზღუდება და ზოგჯერ უხეშადაც ირღვევა. ამიტომ შესაბამის უწყებებს დაევალათ კონტროლი გაუწიონ კანონის შესრულებას მათ ინსტანციებში, დაეხმარონ ინვალიდთა ორგანიზაციებს.

ბატონმა ვახტანგმა ბრძანა, რომ მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ სახელმწიფო კანცელარიასთან, კერძოდ კი, პეტრე მამრაძესთან, რომელიც მანამდე გაეროში თანამშრომლობდა. მისი უშუალო დახმარებით არაერთი პროექტი იქნა განხორციელებული. ბოლო ვიზიტის დროს საფრანგეთში, რომელიც საფრანგეთის ინვალიდთა ნაციონალურ ინსტიტუტში შედგა, ორდენის წარმომადგენლებს ახლდათ ასევე სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენელი თამაზ ყიფიანი და ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალი გურამ გვეტაძე. ამ ვიზიტის გამოძახილი იყო 12 აგვისტოს საფრანგეთის ვეტერანთა ეროვნული ოფისის მიერ დაწესებული ხსოვნისა და სოლიდარობის მედალი, რომელიც გადაეცა აფხაზეთის ომის ინვალიდს, ოლეგ სკაჩკოვს თბილისში, საფრანგეთის საელჩოში.

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ „წმ. თამარ მეფის ორდენმა“ დააწესა მალხაზ შალიკაშვილის სახელობის პრემია, რომელიც მიენიჭება პიროვნებას სულიერი სიმტკიცისათვის. პრემია უკვე მიენიჭა აფხაზეთის ვეტერანს ჯანრი უბირიას, პიროვნებას, რომლის შეუპოვრობა და ოპტიმისტური სულისკვეთება მართლაც გაოცებას იწვევს. ომიდან იგი ინვალიდი დაბრუნდა (ორივე ფეხის ამპუტაცია), მაგრამ ბედს არ შეგუებია. შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი, შეეძინა ბავშვი. გარდა ამისა, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. შექმნა ომის ინვალიდთა ორგანიზაცია „ილორი“, რომლის თავმჯდომარეც თავად გახლავთ.

როგორც შევიტყვეთ, „წმ. თამარ მეფის ორდენი“ მხოლოდ დახმარების გაცემით არ აპირებს შემოიფარგლოს და მის პროგრამაში შედის სარეაბილიტაციო ცენტრის რეკონსტრუქციის მშენებლობის პროგრამა. ეს პროგრამა ხორციელდება მცხეთის ტყე-პარკში. იგი იმუშავებს ინვალიდთა ინტერესებიდან გამომდინარე, მოემსახურება იძულებით გადაადგილებულ პირებს, დახმარებას აღმოუჩენს მათ. ამ ცენტრის მუშაობაზე ბატონი ვახტანგი დიდ იმედებს ამყარებს და ფიქრობს, რომ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს მცირედით მაინც შეუმსუბუქებენ ტკივილს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ორდენს კეთილ მამულიშვილურ საქმიანობაში, რამეთუ საქმე, რომელსაც ისინი ყოველგვარი ანგარების გარეშე აკეთებენ, ჭეშმარიტად მადლის მქმნელია, მადლისა, რომელიც მრავალი ადამიანისათვის იმედის სხივია, რადგან კვლავ ესახებათ რწმენა, რომ ისინი ახსოვთ და მათზე ზრუნავენ. ამის დასტურად გთავაზობთ რედაქციაში შემოსულ წერილს, რომელიც ერთ-ერთია იმ მრავალ წერილთაგან, სადაც გამოხატულია ის მადლიერება და ზრუნვა, რომელიც ასე უშურველად გაიღო „წმ. თამარ მეფის ორდენმა.“

**ქეთი გეჯაძე**

ალბათ, ყველამ იცის, რა ძნელია ქვრივი ქალისათვის, სამი შვილის გაზრდა.

ჩემი მეუღლე, **თამაზ ზოდიკოს ძე ციხისელი,** პირველივე დღეებიდანვე იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

მისთვის უპირველესი სალოცავი ჩვენი შვილები, 12 წლის სალომე, 11 წლის სოფიკო და 9 წლის ბესიკი და საქართველო იყო...

დარჩა სამი შვილი ობლად — საყვარელი მამის ალერსს მოკლებული.

ამ ცხოვრებაში აღარ მეგონა რამე თუ გამახარებდა, მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც შემწეობა გამოუჩინა ჩემს ოჯახს.

უდიდესი მადლიერების სიტყვებით, მინდა მადლობა ვუთხრა „წმინდა თამარ მეფის ორდენის“ ხელმძღვანელს — ბატონ ვახტანგ ჯორჯიკიას. — ადამიანს, რომელმაც ჩემს მეუღლეს დამსახურება დაუფასა და ჩვენს შვილებს ყოველთვიური დახმარება დაუნიშნა.

თამაზს სახელი, უმნიკვლო ქართველობა დაუფასდა ალბათ იმიტომ, რომ არსებობენ ისეთი კეთილი, გულისხმიერი ადამიანები, როგორიც ბატონი ვახტანგ ჯორჯიკიაა. ჩემი შვილების სახელით ულრმესი მადლობა თქვენ, ბატონო ვახტანგ!

მე კი ალბათ, ამ თანადგომით ძალამოცემული ვეცდები გავზარდო სამშობლოსი და ჩემი გარდაცვლილი მეუღლის ღირსი შვილები.

**პატივისცემით, ანა ციხისელი**

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ ე. შევარდნაძეს!

***ბატონო პრეზიდენტო!***

მოგმართავთ ქ. თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბნის, ხარფუხისა და ორთაჭალის მაცხოვრებლები, აღშფოთებულები ვართ იმისა გამო, რო ჩვენს სასიცოცხლო დანიშნულების უძველეს ბაღში, სადაც 1795 წელს მიმდინარეობდა კრწანისის ბრძოლა, დღეისათვის ჩვენთვის ინკოგნიტო, დაუდგენელმა პირებმა ამა/წლის 8 აგვისტოს ინტენსიური მუშაობა დაიწყეს ეგრეთწოდებული მინისასტუმროს ასაშენებლად. და ეს ფაქტი ხდება მაშინ, როდესაც გამოიცა მთავრობის დადგენილება „პარკებსა და სკვერებში შენობა-ნაგებობების აკრძალვის შესახებ.“

***ბატონო პრეზიდენტო!***

კარგად მოგეხსენებათ, რომ დღეისათვის საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ეკოლოგიური თვალსაზრისით, იჩეხება და იჭრება ძვირფასი, მრავალწლიანი ხეები და ნარგავები. ასევე იცით, რომ ზემოთაღნიშნული ტერიტორია გახლავთ ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი, ძველი თბილისის კარიბჭე. აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია რაიმე შენობანაგებობების მშენებლობა. ასევე, აქვე ფუნქციონირებს საშუალო სკოლები, ბაგა-ბაღები, მოსწავლეთა ახალგაზრდული სასახლე, დემირელის სახელობის კოლეჯი და ზნეობრივი თვალსაზრისითაც დაუშვებლად მიგვაჩნია ეგრეთ წოდებული სასტუმრო-კაზინოების აშენება.

***ბატონო პრეზიდენტო!***

გვინდა იცოდეთ, რომ ძალიან ხშირად მიმდინარეობს სპეკულირება თქვენი სახელით, რაც თქვენს იმიჯს აყენებს ჩრდილს.

დღეისათვის მწვანეთა პარტიისა და მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად სამშენებლო სამუშაოები დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული და გვჯერა თქვენი თანამდგომისა და ვითხოვთ კანონიერების აღსრულებას — თანახმად მთავრობის დადგენილებისა, შეჩერდეს ზემოთ აღნიშნული მინი-სასტუმროს მშენებლობა.

*დეკანოზი ბესარიონ,*
*ბალავაძე, ლონლაძე, ჩოხელი, მეტოიანი*
*— სულ 164 ხელმოწერა.*

# ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ

ზოგი ქვეყანა სხვათა ტერიტორიის დასაკუთრებით გაიზარდა, გაძლიერდა. „რუსეთი ოთხასი წლის წინ თანამედროვე ფინეთის ტოლი პატარა ქვეყანა იყო. რუსები მეზობელი ერების ტერიტორიების უკანონო დაპყრობით გაძლიერდნენ, გაფართოვდნენ, უზარმაზარი სახელმწიფო მოიწყეს.

მათს დამპყრობლურ ხასიათს დღემდე არ განუცდია ფერისცვალება, რასაც მოწმობს 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მოქალაქეების მოწამვლა და ტანკებით დარბევა". წერდა გაზეთი „ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნი". 1989 წ. 15 აპრილი, გვ. 5. სტატიაში „დე სეიმ ოულდ მოსქოუ".

ამ ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოს წაართვეს თავისი ძირძველი ტერიტორიის დიდი ნაწილი.

მოკლედ მიმოვიხილავთ აკად. ი. ჯავახიშვილის შეხედულებას საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის შესახებ: საქართველოს ეროვნულ ტერიტორიაში შედიოდა მცირე აზიის დიდი ნაწილი, სადაც დღეს თურქეთი და ერაყია. ძვ. წ. VII ს-ში ყირიმის ნახევარკუნძულის მიმდებარე ტერიტორიიდან სხვა ხალხების მიერ გამოდევნილი კიმერიელები შეესივნენ საქართველოს. ამ დროიდან მოყოლებული მუსკებისა, ტაბალებისა და კასკების სახელი მცირე აზიაში ქრება და ქართველთა მოსახლეობის ასპარეზი შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროთი და ამიერკავკასიით-ღა განისაზღვრებოდა". საქართველო იყო კოლხეთის ანუ შავი ზღვის არა მარტო აღმოსავლეთი, არამედ სამხრეთი სანაპიროც. ფრიგია, კაბადოკია მთლიანად ქართველებით იყო წინათ დასახლებული. ფრიგიის და კაბადოკიის მიწასაც საქართველოს მიწა ერქვა, ხოლო მათს ცას — საქართველოს ცა. მოვუსმინოთ ივანე ჯავახიშვილს: გვ. 4 ძვ. წ. IV ს-ში სამხრეთ კავკასიაში მდებარე ქართული მოსახლეობის მიწაწყლის ზოგიერთი თემი, რომელიც აქამდე ქართველებს ეკუთვნოდათ, უკვე ჩრდილოეთისაკენ წამოწეულ სომხებს ჩაუგდიათ ხელში". ქ. წ. მეორე საუკუნიდან მოყოლებული კი სომეხთა ორი სახელმწიფოებრივი ერთეულიც გაჩნდა. 189 წ. ანტიოქოს დიდის სატრაპებმა არტაქსიმ და ზარიადრმა სომხეთის ორი სამეფო შექმნეს, მეზობლებს მიწები წაართვეს და ამგვარად, თავიანთი სამფლობელოს საზღვრები საგრძნობლად გააფართოვეს. „ამ საკითხს ფართოდ ეხება I საუკუნის მეცნიერი სტრაბონი, მისი სამშობლო ქართველებით დასახლებული ქ. ამასია იყო კოლხეთის ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან. სწორედ სტრაბონის წიგნში წერია, რომ I საუკუნეში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, ე.ი. ჩვენს სანაპიროს კოლხეთის ზღვის სანაპირო ეწოდებოდა, ხოლო შავი ზღვის ამ ნაწილს — კოლხეთის ზღვა. ძველი წელთაღრიცხვით I საუკუნეში რომაელმა სარდალმა პომპეუსმა დალაშქრა კოლხეთის ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარე რეგიონი და იბერიელებს ეომა" — წერდა სტრაბონი. ეს ტექსტი მოთავსებულია ლონდონის „ლეებ ქლესიქალ ლაიბრერის" სტრაბონის გამოცემის მეხუთე ტომის 186-ე და 187-ე გვერდებზე, ერთ გვერდზე სტრაბონის მიერ დაწერილი ტექსტია ბერძნულ ენაზე, მის გვერდით — პარალელური ინგლისური თარგმანი. „თალასეს, ტეს ტე კასპიას კაი ტეს კოლხიკეს.

იგივე ტექსტი სიტყვა-სიტყვით გადაიტანა რუსულ ენაზე პროფესორმა სტრატანოვსკიმ, შესაბამის ტექსტში კოლხეთის ზღვა კოლხსკოე მორე, შავი ზღვაა. ა. სტრატანოვსკიმ მთლიანად თარგმნა სტრაბონის გეოგრაფია რუსულ ენაზე. ბერძნულიდან ინგლისურად თარგმნა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონსმა. თარგმანში ვკითხულობთ: დე კასპიან ენდ დე კოლხიან სიიზ. სიტყვასთან კოლხიან პროფ. ჯონსი განმარტავს, რომ ის ევქსინის ზღვას აღნიშნავს, ხოლო ევქსინის ზღვა რომ შავი ზღვის სახელწოდებაა, ეს საყოველთაოდ ცნობილია და სადავო არ არის.

ქართულ ენაზე დაიბეჭდა ნაწყვეტები სტრაბონის „გეოგრაფიიდან". შესაბამისი ადგილი თარგმნილია, როგორც „კოლხიდის ზღვა", და შემდეგ განმარტებულია, რომ კოლხიდის ზღვა (ბერძნულ ენაზე კოლხიდე თალასა) არის „შავი ზღვის ნაწილი, რომელიც ვრცელდებოდა კოლხიდის სანაპიროზე ტრაპეზუნტამდე", მითითებულია გვერდი 109 პროფ. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანიდან. შევამჩნიეთ, რომ ამ თარგმანში ეთნიკური სახელი „გეორგი", რომელიც უცხოელმა მთარგმნელებმა სწორად გადაიტანეს, როგორც „გეორგები", „გეორგი" ქართველმა მთარგმნელმა გადაიტანა, არა როგორც „გეორგები" ან „ქართველები", რაც სწორი იქნებოდა, არამედ როგორც „მიწათმოქმედები". ამიტომ მათ ქართველებად მკითხველი ველარ აღიქვამს. ეს ადრე შევამჩნიე, ვიცოდი რა, რომ არცთუ იშვიათად საბჭოთა მეცნიერები შეგნებულად, განზრახ ჩქმალავდნენ ხოლმე ქართველებისათვის სასარგებლო ცნობებს, ჯერ ევროპულ ენებზე დაბეჭდილ ტექსტებს ვეცნობი, ვინიშნავ ქართველების შესახებ ცნობებს და ამის შემდეგ ვადარებ მათ საბჭოთა ისტორიკოსების თარგმანებს და გამოკვლევებს. ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობები დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალში „ვესტნიკ დრევნეი ისტორიი" 1947-1949 წლებში. აქ ხშირად განმარტებებში მოსკოველი პროფესორები ქართველების სატომო სახელებს ადიღეების ან სკვითების სახელებად აცნობენ მკითხველს, ამ ტექსტების გამოყენება ორიგინალების ან ევროპული თარგმანების გარეშე შეცდომაში შეიყვანს მკითხველს. ახლა აპირებენ ამ გამოცემის, სკვითიკა და კავკასიკას ხელახლა დასტამბვას და ამ საკითხს ყურადღება სჭირდება.

დავუბრუნდეთ სტრაბონს. ეს ნაწყვეტი პროფ. სტრატანოვსკის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი წიგნიდან შევამოწმე ორიგინალის ენაზე — ბერძნულზე და მის ინგლისურ თარგმანში ლონდონის გამოცემიდან და რაიმე გაყალბება ვერ შევამჩნიე, ამიტომ ამ ტექსტს მოვიტანთ, რადგან რუსული ენა ბევრი მკითხველისთვის გასაგებია, სტრაბონი გვამცნობს, რომ არმენია მომცრო ტერიტორიას ფლობდა, პატარა ქვეყანა იყო. არმენიელი ხალხი ევროპიდან, თესალიიდან შეიჭრა მცირე აზიაში და მოჰყვარა უცხოელ, რომაელ დამპყრობლებს ძველ საქართველოში, მათივე მხარდაჭერით და ხელშეწყობით, სხვა ხალხების ჯარის დახმარებით მოკალათდა ქართველების სამშობლოში ჯერ ფრიგიაში, შემდეგ თანდათან წამოიწია აღმოსავლეთით. ბერძენი და რომაელი ავტორები დაწვრილებით აღწერენ ამ ამბავს.

სტრაბონი შედარებით ზერელე ცნობებს გვაწვდის ამ საკითხზე.

**Далее рассказывают, что Армению, в прежние времена бывшую маленькой страной, увеличили войны Артаксия и Зариадрия. Они были первоначально полководцами Антиоха Великого, а впоследствии, после его поражения, стали царями (первый-царем Софены, Акисены, Одомантиды и некоторых других областей, а последний-царем страны вокруг Артаксарты); они расширили совместно свои владения, отрезав часть областей окружающих народностей, а именно: у мидян они отняли Каспиану, Фавнитиду и Басоропеду, у иберов-предгорье Париадра, Хорзену и Гогарену, которая находится на другой стороне реки Кираг халибов и мосинеков-Каренитиду и Ксерксену, которая граничит с Малой Арменией или является ее частью, у Катаонов-Акилисену и область вокруг Антитавра, наконец, у сирийцев-Таронитиду ... Рассказывают далее, что одежда армян-фесаллийская; так, например, длинные хитоны, называемые в трагедиях фессаллиийскими, перетянутые поясом около груди, и верхняя одежда на застежках, так что даже трагические актеры подражали фессаллийцам, ведь им нужно было иноземное украшение в таком роде, но так как фессаллийцы как раз носили длинные одежды (вероятно потому, что из всех греков они жили в самой северной и наиболее холодной области), то эти одежды представляли актерам самый подходящий образец для подражания в их сценических перевоплощениях.**

**... Древняя история этой народности приблизительно такова. Как я уже сказал, Армен из фессалийского города Армения, расположенного между ферами и Ларисой на озере Беба, отправился походом в Армению ...**

**Армения получила от него свое имя.**

მოგვითხრობენ, რომ არმენია წინათ პატარა ქვეყანა იყო, შემდეგ კი არტაქსიმ და ზარიადრმა ომით გააფართოვეს. ისინი თავდაპირველად ანტიოქოს დიდის სარდლები იყვნენ. მეფის დამარცხების შემდეგ ორივე მეფე გახდა (პირველი-სოფენესი, აქილისენესი, ოდომანტიდისა და ზოგი სხვა რაიონის, ზარიადრი კი — არტაქსარტის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის).

ორივემ თავდაპირველი ტერიტორია გააფართოვა მეზობელი ხალხის ტერიტორიის ხარჯზე; სახელდობრ, მედეთის მცხოვრებთ წაართვეს კასპიანა, ფავნიტიდა და ბასოროფედა; იბერიელებს წაართვეს — პარიადრის წინამთები, ქორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის მეორე მხარეს მდებარეობს; ხალიბებს და მოსინიკებს წაართვეს კარენიტიდა და ქსერქსენი, რომელიც მცირე არმენიას ესაზღვრება თუ მასში შედის; კატაონებს წაართვეს აკილისენა და ანტიტავრის ირგვლივ ტერიტორია; ხოლო სირიელებს წარსტაცეს ტარონიტიდა... კიდევ ამბობენ, რომ არმენიელების ტანსაცმელი თესალონიელების ყაიდისაა. ასე მაგალითად, აცვიათ გრძელი ქიტონები, ტრაგედიებში თესალიური რომ ეწოდება, მკერდზე გადაჭერილი აქვთ ზონრით. ზედა სამოსი ბალთით აქვთ დამაგრებული, ასე რომ, ტრაღიკოსი მსახიობებიც კი თესალიელებს ბაძავდნენ; მათ ხომ რაღაც უცხოური სამოსი სჭირდებოდათ. ამდენად, თესალიელების გრძელი სამოსი (რომელიც, ალბათ, იმიტომ სჭირდებოდათ, რომ ბერძენთა შორის ყველაზე ჩრდილო და ცივი ტერიტორია ეკავათ), ზედგამოჭრილი იყო მსახიობებისათვის სცენური გარდასახვის დროს... ამ ხალხის (არმენიელების) ძველი ისტორია დაახლოებით ასეთია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვინმე არმენი, თესალიის ქალაქ არმენიდან, რომელიც ფერასა და ლარისას შორის მდებარეობს ბებას ტბასთან, საომრად გაეშურა არმენიაში... მისი სახელი შერჩა არმენიას".

ქართველების კუთვნილი ტერიტორიის ძვ. წ. II საუკუნეში არმენიელების მიერ უკანონოდ მისაკუთრება-დაპყრობა აკად. ი. ჯავახიშვილს აღწერილი აქვს.

შემდეგ ი. ჯავახიშვილი წერდა: „იბერიაში განსაკუთრებით მიწის-მოქმედებას მისდევდნენ, მეტადრე ბარის მცხოვრებნი; მთიელებს კი უფრო სამამაცო საქმეებსა და ომიანობაზე ეჭირათ თვალი; ... სტრაბონის თქმით, ბარის მცხოვრებლებს სომხურად და მიდურადა სცოდნიათ ჩაცმა-დახურვა; XI, თავი III სამწუხაროდ, იგი არას ამბობს, რარიგ ტანისამოსს ხმარობდნენ თვით სომხები, რომ ქართველების სამკაული წარმოგვედგინა. მიდიელების მაგიერ კი იქნებ სპარსელები ჰყავს მხედველობაში.

მთიულები სარმატებისა და სკვითების ზნე-ჩვეულებებს უფრო მისდევენო". მიდიელების და არმენიელების სამოსი სტრაბონმა რამდენჯერმე აღწერა. ერთი ნაწყვეტი ზემოთ მოვიტანეთ, მეორეს ახლა შეგახსენებთ.

**стр. ~;: Обычам мидийцев большей частью те же, что и у армян, по причине сходства их стран. Мидийцы, однако, как говорят, являются родоначальниками обычаев армян и еще раньше персов, их владык и преемников господства в Азии. Например, так называемая теперь персидская "стола", их страсть к стрельбе из лука и верховой езде, служенние царям, царские облачения и божественное почитание царей подданными перешли к персам от мидийцев. Что это верно, яснее всего видно на примере их одежды: тиара, китара, войлочная шапка, хитоны с рукавами и штаны-эта одежда удобна для ношения в таких холодных и северных странах, как мидийские, но вовсе не подходит к южным местностям. Большая же часть поселений персов находилась на Красном море, южнее страны вавилонян и сусийцев, а после сокрушения Мидийской державы персы присоединили к своим владениям некоторые области, пограничные с Мидией. Однако обычаи побежденного народа показались победителям столь достойными уважения и подходящими для царской пышности, что они решили, вместо того, чтобы ходить полуголыми или легко одетыми, носить женские одежды и закутываться в плащи. Согласно некоторым, ношение такой одежды ввела в употребление Медея, которая вместе с Иасоном властвовала в этой стране. Медея, как говорят, даже закрывала лицо, выходя к народу вместо царя. Памятниками Иасона служат святилища в честь героя Иасона, весьма чтимые варварами (а над Каспийскими воротами, на правой стороне, находится большая гора под названием Иасоний), воспоминанием же о Медее являются одежда и название страны. Утверждают, что сын ее, Мид, наследовал ее власть и оставил стране свое имя. С этими сообщениями согласуются существование святилищ Иасона в Армении, имя страны и многое другое, о чем я кажу далее. Выбирать царем самого храброго человека-также мидийский обычай, но этот обычай свойствен не всем мидийцам, а только горным.**




პონტოს, ანუ კოლხების, სასპერების, იბერების, ანუ შავი ზღვა I-VII სს. (უ. ალენ „ქართველი ერის ისტორია", ლონდონი, 1971 წ.)



თურქმენთა ბელადი ჩრდილო კავკასიაში

**ნათელა ფოფხაძე**

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ყინულიც დაიძრა...

პოლიცია, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი „ქმედითი იარაღია". საქართველოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, სამწუხაროდ, აგვაცდინა საკაცობრიო ცივილიზაციის მაგისტრალურ ხაზს, გამეფებულმა არასრულფასოვნების კომპლექსმა, მოსახლეობასა და პოლიციას შორის წარმოშობილმა უნდობლობის სინდრომმა საკმაოდ ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ალბათ, ყველა ჩვენთაგანს კარგად ახსოვს, რომ ორი-სამი წლის წინათ, მოქალაქეს ნაქურდალი ნივთების დასაბრუნებლად არა პოლიციასთან, არამედ ე. წ. ქურდული სამყაროს „ავტორიტეტებთან" უხდებოდა მისვლა იმედით — ცდა ბედის მონახევრეაო, მაგრამ ეს მათი ბრალი არ იყო, რადგანაც პოლიცია, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები, მოკლებულნი იყვნენ კანონით მინიჭებული უფლებების რეალურად განხორციელებას. დღეს კი პოლიციასა და საზოგადოებას შორის არსებული უფსკრული თანდათან ივსება და ხალხიც უფრო ენდობა მათ. შეიძლება ითქვას, ყინული თანდათან გალღვა. ჩემი ნათქვამის სისწორეში რომ დამერწმუნებინეთ, სწორედ ამიტომ ვთხოვეთ ინტერვიუ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციის უფროსს, ბატონ **გიორგი ჭოლოშვილს**. ალბათ, არ გაგიკვირდებათ ჩვენი არჩევანი, რადგანაც საკუთრება, როგორც კონსტიტუციით აღიარებული უფლების დაცვა, შეიძლება ითქვას, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა.

— **ბატონო გიორგი, თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით თქვენს მიერ განვლილი გზის შესახებ, მოკლედ შტრიხები თქვენი პორტრეტისათვის.**

— დავიბადე 1963 წელს ქალაქ თბილისში, დავამთავრე 53-ე საშუალო სკოლა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1996 წლიდან ვმუშაობდი საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის განყოფილების უფროსად, 1997 წელს გადავედი დიდუბის რაიონის დაცვის პოლიციის ოცმეთაურად, მყავს მეუღლე, ორი შვილი, ერთი შვილი 8 წლის ასაკში დამეღუპა, 1998 წელს დავინიშნე საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციის უფროსად.

— **ბატონო გია, დღესდღეობით რამდენი პოლიციელი გყავთ და რამდენ ობიექტს იცავთ?**

— ახლა დაახლოებით 370 პოლიციელი და 29 ოფიცერი გვყავს. რაც შეეხება ობიექტებს, შეიძლება ითქვას, შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. თუ ადრე მხოლოდ სამოცდათვრამეტი ობიექტი გვქონდა, დღეისათვის მათი რიცხვი ოთხმოცდათექვსმეტს შეადგენს. მათგან შვიდი საგანგებო მნიშვნელობის მქონეა. ჩვენ ვიცავთ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ობიექტებს, მათ შორის ბინებს, ცალკეულ



პიროვნებებს. მოკლედ, ადრე არსებული უნდობლობა, ჩატეხილი ხიდი პოლიციასა და მოსახლეობას შორის თანდათან მთელდება.

— **ბატონო გია, რამდენად ხართ მზად იმისათვის, რომ დაიცვათ საკუთრება, პიროვნების სიცოცხლე, თუ ისინი თქვენთან ხელშეკრულებას გააფორმებენ და გაქვთ თუ არა ამისათვის საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ვართ ამისთვის მზად და ტექნიკური ბაზაც გაგვაჩნია. პოლიციელები ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუშაობენ, სწორედ ამით განვსხვავდებით ამერიკელი პოლიციელებისაგან, მათ ზუსტად განსაზღვრული სამუშაო საათები აქვთ და პოლიციის შენობაში მას შემდეგ მორიგის გარდა ვერავის ნახავთ.

რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს ბატონი თენგიზ შოშიაშვილი. გადმოგვცეს ახალი მანქანები, პოლიციელებს დაურიგდათ ფორმები, იარაღები, ე. წ. ელექტროშოკები, აპარატურა, რადიოკავშირები. ობიექტებზე დავამონტაჟეთ სიგნალიზაციის თანამედროვე, ამერიკული დანადგარები.

— **და ბოლოს, თუ შეიძლება გვითხარით, რა ხელისშემშლელი პირობები გაქვთ?**

— უპრობლემო ადამიანი არ არსებობს და ამას არც ჩვენი სამსახურია მოკლებული. ძირითადად, ეს მაინც წვრილმანი რაღაცეებია, რომელზედაც ალბათ არც ღირს ყურადღების გამახვილება, ეს ძირითადად მაინც შენობის პრობლემაა, ჩვენი ხელმძღვანელობა, თვით ბატონი თენგიზი და ქალაქის სამმართველოს უფროსი ალეკო ტაბატაძე ყურადღებას არ გვაკლებენ. ხშირად ერთად დავდივართ რეიდებზე. ვრთავთ სიგნალიზაციებს და ვამოწმებთ ჩვენივე თანამშრომლების ოპერატიულობას.

კონკურენციას ე. წ. კერძო დეტექტივები გვიწევენ, თუ შეიძლება ეს კონკურენციად ჩაითვალოს, რადგან უკიდურეს შემთხვევაში, მათი დამქირავებლები ისევ ჩვენ მოგვმართავენ ხოლმე დახმარებისათვის.

— **გმადლობთ, ბატონო გიორგი.**

**მამუკა ებანოიძე**

**საბურთალოს რაიონის დაცვის პოლიციის განყოფილება გთავაზობთ**

ყველაზე სწრაფად, ყველაზე იაფად, საიმედოდ და ხარისხიანად!

პიროვნებების, ბინების, ობიექტების, ოფისების დაცვას საიმედო ამერიკული აპარატურით, სამეთვალყურეო პუნქტზე ჩართვით და ასევე საპოლიციო დაცვით.

დაცვა სრული მატერიალური პასუხისმგებელია ობიექტის და პიროვნების ხელშეუხებლობაზე, ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

დაგვიკავშირდით და გადაგიწყვეტთ ყოველგვარ პრობლემებს.

ჩვენი მისამართია: ბუდაპეშტის ქ. №4

ტელ: 37-17-07 37-66-08 37-13-05 37-15-59 37-86-24

# ცნობები გალის შესახებ

გალის, როგორც დასახლებული პუნქტის, შესახებ არავითარი ცნობები არ არის დაცული „ქართლის ცხოვრებაში“, არც ვახუშტი ბაგრატიონს აქვს იგი მოხსენებული. თ. ჟორდანიას ქრონიკებში არაფერია ნათქვამი გალის შესახებ, ამიტომ საჭიროდ ვცანით, ამჟამად, გალის ტრაგედიის შემდეგ, ცნობები მივაწოდოთ მკითხველს.

მიუხედავად ამისა, ქალაქი გალი უძველესი დასახლებული პუნქტია საქართველოში. 1934 წელს ქ. გალში არქეოლოგმა ს. ნ. ზამიატნინმა იპოვა პალეოლითური კაცის იარაღები (ხელცული, წვეტანები და სახოკები). ნაპოვნია გვიანი პალეოლითური ხანის ქვის ნაწარმი, აგრეთვე ნეოლითური კაცის იარაღები, ხოლო სპილენძის ზოდების პოვნა განვითარებულ ენეოლითზე მიგვითითებს. ქალაქში ნაპოვნია ძველი მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები (სადაც შემდეგ აღმოაჩინეს ბრინჯაოს ზოდები და ბრინჯაოსაგან დამზადებული საგნები); შუა საუკუნეებში აქ დასახლებული პუნქტის არსებობაზე ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ნაპოვნი წყალსადენის კერამიკული მილები და კოშკის ნაგრევები მიგვითითებს.

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (1654 წ) იგი გოგიელის სახელწოდებითაა აღნიშნული. გოგიელი ამ დროს სამეგრელოს სამთავროებში შედიოდა. ტოპონიმ „გალის“ წარმოშობა მეცნიერულად ახსნილი არ არის. ქალაქის დასავლეთით არის სოფელი პირველი გალი, ამ უკანასკნელის ჩრდილოეთ ნაწილს ზემო გალი ეწოდება; ქალაქის სამხრეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდებარეობს სოფელი ცხირო-გალი, სოფელ ხუმუშუერის ცენტრს კი – პატარა (ჭიჭე) გალი ეწოდება. სანამ გალი სამურზაყანოს ცენტრი გახდებოდა, იგი მეორე გალის სახელწოდებით იყო ცნობილი. ვფიქრობთ, რომ გალი ისეთივე წარმოშობისაა, როგორც აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილის (მე-17 საუკუნის დასასრულამდე სამეგრელოს) ქართული ტოპონიმები: დალი, ჯალი, ფალი, ფსკალი და სხვ. აფხაზებმა დადგენილებაც კი მიიღეს გალისათვის ეწოდებინათ ალექუმპარა. სამფლობელოს ჩამოყალიბებისთანავე სამურზაყანოს ცენტრი იყო სოფელი ბედია, 1840 წლიდან სამურზაყანოს ცენტრი გახდა სოფელი ოქუმი.

ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან სამურზაყანოს მოწინავე საზოგადოებამ დასვა საკითხი სამურზაყანოს ცენტრის, უბნის განაპირა ნაწილიდან გეოგრაფიულ ცენტრში გადმოტანის შესახებ. ამ საკითხს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის „ივერია“. (1902 წელი. 29 მარტი, №68); „ივერია“ მოუწოდებს მთავრობასა და საზოგადოებრიობას ცენტრის ოქუმიდან გალში გადმოტანის შესახებ. მართლაც, 1906 წლიდან სამურზაყანოს უბნის (შემდეგ მაზრის) ცენტრი გახდა გალი. კ. მაჭავარიანი, რომელიც წარმოშობით ოქუმიდან იყო, გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ცენტრი, სოფელ ოქუმიდან გადატანილ იქნა „ჭაობიან ადგილას, სახელდობრ სოფელ გალში.“

ორსართულიანი ქვის ორი შენობა (სკოლა და სასამართლო), მთავარი გზატკეცილის გასწვრივ ჩამწკრივებული ხის დუქნები – ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნებისა, აი, რა იყო გალის ცენტრალური ნაწილი 1925 წლისათვის.

1888 წელს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღძრეს საკითხი სოფელ მეორე გალში დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ. „ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა, სოფელ გალის მცხოვრებლებმა განვიხილეთ სოხუმის ეპისკოპოსის უგანათლებულესი გენადის განცხადება ჩვენს სოფელში საეკლესიო-სამრევლო სკოლის გახსნის შესახებ. ჩვენ თანახმა ვართ სასკოლო მოწყობილობათა და ჩვენი ბავშვების მასწავლებლების ხელფასისათვის წლიურად გადავიხადოთ სამასი მანეთი. (აფხაზეთის არქივი, ფ. 1 საქმე 328, ფურცელი 2); მოსახლეობის დაჟინებული თხოვნით გადაწყდა სკოლის გახსნა სამურზაყანოს ცენტრალურ ადგილას, სოფელ მეორე გალში. გალის ორკლასიანი სამასწავლებლო სკოლის შენობის, ამჟამად პირველი საშუალო სკოლის აგება დამთავრდა 1899 წელს.

1917 წლამდე გალს ერთი ექიმი და ორი ფერშალი ემსახურებოდა. ექიმი იყო იოსებ შავგულიძე, ცნობილი ქართველი ფეხბურთელის შოთა შავგულიძის მამა. 10 ადგილიანი საავადმყოფო კერძო სახლში იყო მოთავსებული.

1931 წელს გალი რკინიგზით შეუერდა თბილისს. 1932 წლიდან გალი ქალაქია. 1926 წელს მოსახლეობა შეადგენდა 1431 კაცს, 1982 წელს – 16052 კაცს. უკანასკნელ ათეულ წელში გალში აგებულ იქნა კულტურის სახლი, რაიონული საავადმყოფო, საშუალო სკოლის ორი შენობა, ფოსტა-ტელეგრაფის შენობა, ადმინისტრაციული სახლი, კომუნალური სახლები. გალის ცენტრში აგებულმა ოთხ და ხუთ სართულიანმა სახლებმა კიდევ უფრო დაამშვენეს ქალაქი. გალი სამრეწველო ქალაქიც იყო, ქალაქში იყო ოთხი საშუალო სკოლა, ორი მუსიკალური სკოლა, საბავშვო სამხატვრო სკოლა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც აფხაზმა ბოევიკებმა გაანადგურეს. არსებობდა სახალხო თეატრიც.

ქალაქ გალის შესახებ შეიძლება ბევრი დაიწეროს, მაგრამ ახლა მხოლოდ ორ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენაზე ვისაუბრებთ. ესაა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და 1918 წლის 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე.

მოხდა თებერვლის რევოლუცია. აი, როგორ აქვს აღწერილი რევოლუციის პირველი დღეები სამურზაყანოს ცენტრ გალში გაზეთ „ერთობას“ (1917 წლის 12 აპრილი, №21). სტატიის სათაურია: „საერთო აღფრთოვანებამ სამურზაყანოშიაც პოვა გამოძახილი.“ 26 მაისი სამურზაყანოელთათვის ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს მოწვეულ იქნა ხალხი, რომ ფიცი მიეღო ახალი მთავრობისადმი ერთგულებაზედ. ჯერ გადახდილ იქნა პანაშვიდი თავისუფლებისათვის დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. სიტყვით მიმართა ხალხს მღვდელმა ს. სვანიძემ. ილაპარაკეს კომიტეტის წევრებმა ბატონებმა გეგიამ, შარიამ, გულუამ და სხვ. შემდეგ ხალხმა მიიღო ფიცი.

აი, ამ დღეს მოხდა ის, რისი წარმოდგენაც ძნელი იყო ყველასათვის. ამ ზღვა ხალხთან თავისი ნებით გამოცხადდნენ ის ძველი ყაჩაღები, რომლებიც მთელ სამურზაყანოს და სამეგრელოს შიშის ზარს სცემდნენ... მშვენიერი სანახავი იყვნენ ეს ლომი ბიჭები (18 კაცი) შუა მოედანზე გამოსულნი და მორცხვად თავდახრილნი, განაცხადეს: ძველ მთავრობას თავს შევაკლავდით და არ დავნებდებოდით, თქვენ კი სიამოვნებით გნებდებით და ყოველივე გადაწყვეტილებას, თუ გინდ თავის მოკვეთას, სიხარულით ვეგებებით, ხალხმა მიიღო რა მათი ვაჟკაცურად მოქცევა მხედველობაში, აპატიეს ყველაფერი და მიიღეს საზოგადოების პატიოსან წევრებად.“

1918 წლის 28 მაისს გალში მთავარი გზატკეცილის ახლოს, მდ. ქვიშორას ნაპირზე შედგა სამურზაყანოელთა კრება მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისადმი. გალს არ ახსოვს ამდენი ხალხი შეკრებილიყოს, მიტინგის დამსწრენი ერთმანეთს ულოცავდნენ, კოცნიდნენ, ეხვეოდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობა მოულოცეს ძველმა მოღვაწეებმა ივანე გეგიამ, ესტატე გულუამ, ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატებმა ვასო ჯავარაძემ, ავქსენტი ზუხბაიამ, გრიგოლ მიქავამ. არჩეულ იქნა სამურზაყანოს ერობა.

1921 წლის 6 მარტს გალის მოსახლეობა ძლიერ აღელვებული შეხვდა. დილიდანვე დაბაში ისმოდა: მოდიან, მოდიან, ბოლოს ვიღაცამ დაიძახა: კი არ მოდიან, მოვიდნენ უკვე, დიახ. მოვიდა მეცხრე არმიის ნაწილები, გალსა და სამურზაყანოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მხოლოდ ბოლშევიკები იყვნენ აღტაცებულნი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. შემდგომ წლებში იყო მიწების ჩამორთმევა მემამულეებისათვის. დაპატიმრებანი, განსაკუთრებით თავად-აზნაურობისა და სოციალ-დემოკრატებისა. 1924 წლის აგვისტოში გალშიც იყო აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ისე, როგორც მთელ საქართველოში, აჯანყებულები აქაც დამარცხდნენ, რასაც მოჰყვა დაპატიმრებანი, რაკი ციხეში ვერ ეტეოდა პატიმრები, სკოლა გადააქციეს საპატიმროდ, ხვრეტდნენ ყველას ვინც ციხეში მოხვდებოდა, ვინ არჩევდა მტყუანსა და მართალს. ყველაზე საშინელი კი 1937 წელი იყო. ეს იყო დაბეზღების, ჯაშუშობის, უდანაშაულო ადამიანთა, მათ შორის V-VII კლასის მოსწავლეთა დაპატიმრების წლები. ვინ იცის რამდენმა უდანაშაულო ადამიანმა, მათ შორის კოლმეურნე გლეხებმაც ციმბირის ყინულეთში დაასრულა სიცოცხლე. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ვინც [illegible] კოლმეურნეობიდან ყველას აპატიმრებდნენ.

50-იანი წლებიდან თითქოს გამოსწორდა მდგომარეობა, მაგრამ მთავრობის მხრივ ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი დანაშაულებრივ ქმედებებს.

ახალმა სასოფლო-სამეურნეო კულტურებმა (ჩაი, ციტრუსები, ტექნიკური კულტურები) ეკონომიკურად მოაღონიერა ხალხი. ეკონომიკურად გალი ერთ-ერთი მოწინავე რაიონი გახდა საქართველოში.

მაგრამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისთანავე მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა. მარტო 1993 წელს გალის რაიონში უდანაშაულო 1200 კაცი დახვრიტეს, ათასობით სახლი დაწვეს აფხაზმა სეპარატისტებმა. გალელებს ოჯახებში არაფერი დაუტოვეს, ყველაფერი აფხაზ-ბოევიკებმა წაიღეს. ათასობით ადამიანმა დატოვა რაიონი, ლტოლვილებად იქცნენ. თურმე უფრო უარესი ელოდა გალელებს. 1998 წლის 20-დან 26 მაისის ჩათვლით – ეს იყო ჟამი მკვლელობებისა, ძარცვისა, ხანძრებისა, სრული გენოციდისა. მკვლელობა, ძარცვა, სახლების დაწვა დღესაც გრძელდება. 40 ათასი გალელი ლტოლვილად იქცა. ძირითადად მეზობელ ზუგდიდის რაიონს შეაფარეს თავი და ჯერჯერობით არ იციან როდის დაუბრუნდებიან თავიანთ სახლ-კარს. ვინ იცის, რამდენს დახვდება სახლი დამწვარი. თბილისში თავშეფარებულმა ერთმა ლტოლვილმა მითხრა: ივნისის პირველ რიცხვებში ჩავედი ჩემს სოფელში ქვემო ბარღებში, ჩემს ეზოში აფხაზ-ბოევიკებს საცხოვრებელი სახლი კი არა ტუალეტი და საღორეც არ დაუტოვებიათ.

გალი კი – ეს პატარა ქალაქი აფხაზმა-ბოევიკებმა ნანგრევებად აქციეს, მრავალი მისი შვილი წამებით მოკლეს. ტყვია და ცრემლი ბატონობს უკანასნკლი წლების მანძილზე ამ ლამაზ ქალაქში.

ქართველი კაცი, როდესაც წაიკითხავს ამ სტრიქონებს, მარტო ცრემლით კი არ აევსება თვალები, აივსება შურისძიებით და მხოლოდ შურისძიებით. მხოლოდ ერთი რამ გვანუგეშებს, გვამხნევებს: 16 წლის შეშელეთელმა ხვიჩა კალაზიამ არ შეასრულა აფხაზ სეპარატისტთა ბრძანება, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ამისათვის მას დახვრეტდნენ. გვამხნევებს, რომ გალელებს შორის არ ყოფილა ლაჩარი, გამცემი, მოღალატე.

გვჯერა, რომ აფსუა-სეპარატისტები მალე წავლენ ისტორიის არენიდან და კვლავ აღსდგება ჩვენი ქალაქი, ჩვენი რაიონი, ჩვენი რესპუბლიკა.

ვალერიან ზუხბაია
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი




# ესკულაპისა და თემიდის „კოოპერატივი“

„ელიზი“-„ომეგას“ გახმაურებულ სასამართლო პროცესზე, სადაც „ელიზელთა“ ბანდის წევრად მიჩნეულ 12 განსასჯელის საქმე განიხილებოდა, დაზარალებული ფირმა „ომეგას“ დამცველმა ადვოკატმა თემურ გვიშიანმა არაერთხელ დააყენა წინასწარი გამოძიების მიერ „ელიზელთა“ ბანდის მეთაურად შერაცხულ თამაზ ელიზბარაშვილის დაკითხვის შუამდგომლობა, მაგრამ სასამართლო კოლეგია (თავმჯდომარე ლენგურ ბოჭორიშვილი) ისე გავიდა განაჩენის გამოსატანად, რომ ვერც ერთხელ „ვერ მოახერხა“ ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილის „მოწმედ“ დაკითხვა.

განმეორებითი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 1998 წლის 24 ივლისის დასკვნის მეშვეობით, რომელიც სასამართლოს სხდომაზე ექსპერტმა გეჯაძემ წარმოადგინა („ბოროტი ენები“ ჭორაობენ, რომ მისი ვაჟი ფირმა „ელიზში“ მუშაობსო) „ელიზის“ თავდებში მყოფმა პრეზიდენტმა თავი აარიდა იმ პროცესს, სადაც მის მიერ გზაკვალარეული განსასჯელების საქმე იხილებოდა.

ამჟამად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური საექიმო კომისია სწავლობს ერთსა და იმავე პირზე (თ. ელიზბარაშვილზე) ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სამედიცინო დასკვნის საფუძვლებს და ამ კომისიის დასკვნის შემდეგ პასუხი ან უშიშროების სამსახურის სამხედრო-საექიმო კომისიამ უნდა აგოს (თავმჯდომარე გოცირიძე) ჯანმრთელობის ცნობა რომ მისცა ბავშვობიდან „ბრონქიალური ასთმითა და ეპილეფსიით“ დაავადებულ კაცს, ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ორჯერ (1997 წლის 16 მაისი და 1998 წლის 24 ივლისი) ჩამტარებელმა კომისიის წევრებმა — ავადმყოფობის ცნობა რომ მისცეს ჯანმრთელ კაცს.

იმედია, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაარკვევს, რომელმა კომისიამ მიჰყიდა სული ეშმაკს, ჩვენ კი, ამჯერად, იმ საკითხს გვინდა შევეხოთ, თუ როგორ მოხდა ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილის თავდებში გამოშვება.

„ელიზის“ დაპატიმრებული პრეზიდენტის მაშინდელ, ამჟამად კი მასთან დანასისხლად გადაკიდებულ ადვოკატს, ქართლოს ღარიბაშვილს 1997 წლის 5 ივნისს (ამ დღეს გამოიტანა პროკურატურამ დადგენილება თამაზ ელიზბარაშვილის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ) საჩივრით მიუმართავს კრწანისის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის ბატონ მ. ოთარაშვილისათვის, სადაც იგი თავისი მარწმუნებლის თავდებში გაშვების ერთ-ერთ მოტივად იმას ასახელებს, რომ „... თამაზ ელიზბარაშვილი მძიმე ავადმყოფია. მისი დაპატიმრების შემდეგ იგი შსს №3 იზოლატორიდან გადაყვანილი იქნა შსს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც იგი დღემდე იმყოფება. თ. ელიზბარაშვილის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება და მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება. ჩვენი შუამდგომლობით წინასწარმა გამოძიებამ ჩაატარა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (1997 წლის 16 მაისს — თ. ქ.). ექსპერტიზის



დასკვნით თ. ელიზბარაშვილი საჭიროებს სასწრაფო მკურნალობას თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილ დაწესებულებაში, რისი შესაძლებლობაც შსს რესპუბლიკურ საავადმყოფოს არ გაჩნია.“

ადვოკატ ქართლოს ღარიბაშვილის ამ საჩივარს „გულცივად“ შეხვედრია ბატონი მ. ოთარაშვილი, სამაგიეროდ, თამაზ ელიზბარაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე „გული აჩუყებია“ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის მოსამართლეს ი. ხურციძეს, რომელსაც ოპერატიულად „შეუსწავლია საქმის მასალები“ (ეტყობა, უშიშროების სამსახურის სამხედრო-საექიმო კომისიის დასკვნა „არ მიაწოდეს“ ან „გამორჩა“) და 1997 წლის 10 ივნისს დადგენილებაც „გამოუცხვია“, რომელშიც ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილს „პირადი თავდებობით“ განთავისუფლების მოტივად მიჩნეულია, რომ პატიმარ თამაზ ელიზბარაშვილს „ესაჭიროება გაფართოებული გამოკვლევა და მკურნალობა სპეციალიზირებულ სტაციონარში ალერგოლოგიური და ნევროლოგიური პროფილით.“

დღეს ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი სახალხოდ აცხადებს, რომ მაშინ „გაითამაშეს“ თამაზ ელიზბარაშვილის „მძიმე ავადმყოფობა“, რითაც იგი წინასწარი პატიმრობიდან გამოიხსნეს, ყოფილ კლიენტს იგი ტელედებატებშიც გამოუწვევია და საქმის გარჩევითაც დამუქრებია, ამ დროს კი სასამართლოზე 5 წუთით ლაპარაკი არ შემიძლიაო, აცხადებს „ექსპერტებით“ ზურგმომაგრებული...

მოდი ახლა და არკვიე, რით „აცდუნა“ კლიენტმა ადვოკატი ასეთ „თამაშში“ რომ ჩაერთო (თუ თვითონ დაგეგმა), შემდეგ, როგორ „აცდუნა“ ადვოკატმა ექპერტები, ექსპერტებმა — მოსამართლე, მოსამართლემ — მართლმსაჯულება, მართლმსაჯულებამ — საზოგადოება.

თავდებობის ინსტიტუტი რომ დიდი ხანია ფულის კეთების საშუალებად აქციეს მავანმა და მავანმა, ამაში ის მოარული ხმებიც დაგარწმუნებთ, რომელიც ასეთი მოკვარახჭინებული საქმეების გარშემო ტრიალებს. არაფერს არ ერიდება, ოღონდ „კარგად“ მთხოვნელის ინტერესები დააკმაყოფილოს. აკონტროლებს ვინმე მათ მოქმედებას თუ რა. აი, მაგალითად, განსასჯელი ზურაბ ნიორაძე რომელმა მოსამართლემაც გაუშვა პატიმრობიდან თავდებობით, მეორე დღესვე მიატოვა მოსამართლეობა. „მოასწრო?“ არ ვიცი. ეს საკითხი არავის გაურკვევია.

მედიცინას (განსაკუთრებით ფსიქიატრიას) ხშირად ადანაშაულებდნენ ჯანსაღი ადამიანის იზოლირებაში ხელშეწყობისთვის. ამ თემაზე ბევრიც დაიწერა და კიდევ ბევრი დაიწერება, მაგრამ როცა პირიქითაა — ანუ როცა მედიცინის მუშაკები წინასწარგანზრახვით უწყობენ ხელს პიროვნებას თავი აარიდოს სამხედრო სამსახურს ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ამ თემას, ჯერჯერობით ტაბუ აქვს დადებული.

ვისაც მათი კონტროლი ევალება, თავისიანის „ტყავს არ დახევს“, ვისაც ამ კონტროლის ეფექტურობის გარკვევა აინტერესებს — საქმეში არ ჩაახედებენ.

ასე რომ, „ორი პირის საწარმო“ — ესკულაპისა და თემიდის „კოოპერატივი“ კიდევ კარგა ხანს იქნება მომგებიანი მათთვის, ვისთვისაც ოქრო კანონზე მაღლა დგას.

მართლმსაჯულების პრინციპებზე და ჭეშმარიტ ჰუმანურობაზე ლაპარაკი კი მათთვის მუდამ დარჩება „ხმად, მღაღადებლად უდაბნოსა შინა.“

თამაზ ძველაძე

## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

### აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ:

**საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;**

**მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები;**

**ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;**

**შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;**

**ისწავლოთ ქალაქის ცენტრში;**

მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ. საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1998-99 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სამართალმცოდნეობა** (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი)
2. **ავტოტექნიკური ექსპერტი**
3. **საგარეო უწყებათა მომსახურება**
4. **ფინანსები და კრედიტი** (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაჟო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე)
5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები)
6. **საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;**
7. **წარმოების ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი);
8. **საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა** (ინგლისური, გერმანული, თურქული);
9. **ჟურნალისტიკა;**
10. **ისტორია;**
11. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
12. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;**
13. **პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი**
14. **ხელოვნებათმცოდნეობა**

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა **ოთხი წელი.**

**საბუთები მიიღება** 1 სექტემბრამდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

**საბუთები** — საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 80%-ს. წარჩინებული სტუდენტები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბუღალტერიისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონიუქტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

**უმაღლეს დამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.**

**საბუთები** — უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი.

ინსტიტუტის დამფუძნებელია **საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.**

რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. **ლეო ჩიქავა.**

**შენიშვნა:** ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იქნება სპეციალიზაცია შემდეგი განხრით: ჟურნალისტი-ეკონომისტი, ჟურნალისტი-უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით, ტელეჟურნალისტი, რადიოჟურნალისტი და საგაზეთო საქმე.

სტუდენტები ხელშეკრულების საფუძველზე საგაზეთო საქმეს პრაქტიკულად შეისწავლიან გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ბაზაზე. ტელე-რადიოჟურნალისტიკის შესაბამის ტელე-რადიოკორპორაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

სათანადო მონაცემების მქონე სტუდენტებს (შერჩევით) შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში. რედაქციის ტელ: 93-20-36, 93-18-41.

---

ჩვენო საყვარელო დედიკო, გილოცავთ დაბადებიდან 70 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხნეობას და ყველა ჩანაფიქრის ხორცშესხმას შენს შესანიშნავ ოჯახთან ერთად.

**მალხაზი, ეთერი, თენგო და ბექა ძარძუმაშვილები**

---

### სამხატვრო გალერეა გიწვევთ!

24 აგვისტოს საქართველოს სამხეტვრო გალერეაში საქართველოს მხატვართა ასოციაციის თავმჯდომარის, ბატონ ნოდარ რურუას ინიციატივით ტარდება სახვითი და გამოყენებითი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, წარმოდგენილი იქნება კერამიკული, მარმარილოს, ხის ნამუშევრები, გობელენი და ა. შ.

---

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი გიწვევთ სასწავლებლად შემდეგ სპეციალობებზე: საქართველოს ისტორია, სამართალმცოდნეობა, ეკონომიკა, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, ტურიზმის ორგანიზაცია და მართვა, პედაგოგიკა-ფსიქოლოგია, დაწყებითი განათლება, ხელოვნებათმცოდნეობა.

**სწავლის საფასური ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის.**

ჩარიცხვა იწარმოებს გამოცდების (ტესტირების) საფუძველზე.
საბუთების მიღება 27 აგვისტომდე.
სწავლა დაიწყება 19 სექტემბერს.
სწავლის პერიოდში ვაჟები განთავისუფლდებიან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან.

**დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ:** ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №3, ტელეფონი: 33-11-42 დღისით, 37-28-20 საღამოს.

---

## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. ... კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 2. ნეიტრალური ქვეყნის დედაქალაქი; 3. თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე ადრე მცხოვრები ინდიელები; 4. გამანათებელი ხელსაწყო; 5. იტალიელი პოეტი „ღვთაებრივი კომედიის" ავტორი; 6. ერთ-ერთი უკიდიდესი მდინარე ამერიკაში; 10. ცნობილი ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში; 13. ენაცოდნე, ენათმეცნიერი; 14. ეგვიპტის დედოფალი, ფარაონ ეხნატონის მეუღლე; 16. დროის მონაკვეთი, რომელიც შეიცავს 100 წელს; 17. ტროპიკული ხილი; 22. ქალაქი ეგიპტეში, რომლის კაშხლის მშენებლობაში სსრკ იღებდა მონაწილეობას; 23. რომაელი ტირანი იმპერატორი; 25. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე; 28. იაპონიის იმპერატორის ტიტული; 29. ყაჩაღი; 30. ცხვრის ნაშიერი; 32. ნიმუში, რის მიხედვითაც კერავენ ტანსაცმელს.

**თარაზულად:** 7. ქართველი წამებული დედოფალი; 8. შემოქმედებითი წარმოსახვა, წარმოდგენის უნარი; 9. რუსული ესტრადის ვარსკვლავი ალიონა ...; 11. წყალში მოხარშული ცომის ნაჭრები; 12. ქვეყნის თავდაპირველი ბინადარი; 15. ქართველი მწერალი, ავტორი რომანის „დიდი და პატარა ეკატერინა". 18. წყლის ძუძუმწოვარა მტაცებელი ცხოველი; 19. ინგლისელი პოეტი; 20. სიტყვა, რომელიც წამოიძახა არქიმედემ, როცა აღმოაჩინა თავისი ცნობილი კანონი; 21. ერთ-ერთი დიდი ქალაქი თურქეთში; 24. ჟაკლინ კენედის მეორე ქმარი; 26. იაპონური ბრძოლა; 27. ძველებური საწერი მასალა; 31. მეომარი სკანდინავიური ტომები; 33. სამშენებლო მასალა; 34. პროსპერ მერიმეს რომანის „... ფალკონეს" გმირის სახელი; 35. სადღეგრძელოს შეთავაზება სუფრის ერთი წევრის მიერ მეორესადმი; 36. სხვადასხვა ტიპის მანქანების, აპარატების კომპლექტი.

**შეადგინა მ. გარდავამ**

---



### ნათია ძათამაძეს

საყვარელო ნათია, უკვე ორი წელია იმ საუფლოში გადახვედი, სადაც თექვსმეტი წლის გოგონასათვის იქ მისვლა ძნელი წარმოსადგენი იყო ჩვენთვის... მოულოდნელად დაგვწყვიტე გული, განგებას ნაადრევად კარგები მიჰყავსო — უთქვამთ — შენსავით ლამაზი, სულით პოეტური და მშვიდი ადამიანი იშვიათად გვინახავს ნათი! წელს — მე-18 ზაფხულია უკვე შენთვის; ძალიან მოგვენატრე და ყოველ შენს ხსენებაზე ცრემლები გვაწვება თვალებზე — ეხლა ხომ ზღვაზე ვიქნებოდით!!! იქ მისი ტალღები, ცისფერი ცა და მშვენიერი პალმა ახლა უშენოდ იცდიან...

მღეროდი — კონსერვატორიის სტუდენტის სიმღერა ვის გაუკვირდება, მაგრამ ეხლა გაგვახსენდა შენი სიმღერიდან „სიტყვები: ვარდები არ არიან, მაგრამ რა მევარდება"... თავდავიწყებით მღეროდი შენ! — დიდი სცენა გიწინასწარმეტყველეს სპეციალისტებმა და ეხლა... ვარდები უშენოდ ჭკნებიან! ჩვენ კი, მართლა „რა გვევარდება" უშენოდ, ნათი!

იქნებ გაიგო ჩვენი ხმა, ეს მონატრება...

---

## „ტოტო-ლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 16 აგვისტოს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42"-ს და თანმხლები თამაშის „სუპერ-7"-ის მე-16 ტირაჟის გათამაშება.

„ლოტო 6-42"-ს მოგებახვედრილი რიცხვებია:

**7. 11. 13. 18. 23. 27.**

3 რიცხვი — 1.10 ლარი
4 რიცხვი — 7.80 ლარი
5 რიცხვი — 505.10 ლარი
6 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. „ჯეკ-პოტი" 50 036 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

„სუპერ 7"-ის მომგებიანო ციფრებია **5974965**

შემდეგი ტირაჟი შედგება 23 აგვისტოს.

## „ჯეკ-პოტი" 50.036 ლარი

ითამაშეთ ლატარია „ტოტო-ლოტო"!

გისურვებთ წარმატებას!

*საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი*

---


### განცხადებები

1. რუსეთ-ავსტრალიის კორპორაცია „პანიმექსის" თბილისის სააგენტო გიწვევთ ტურისტულ და ბიზნესტურებში ავსტრალიასა და ოკეანიის ქვეყნებში. ტელ. 98-53-95

2. დეზერტირების ბაზრის პირველ სართულზე იყიდება პურ-ფუნთუშეულის საცხობი, 45 კვ. მ., თავისი ლიცენზიით, საჭირო დანადგარებით (მათ შორის სპეციალური გაზის ღუმელით). დაგვიკავშირდით ტელეფონზე 93-20-36 ან პეიჯერზე 900(70-60). ფასი შეთანხმებით


---


**მთავარი რედაქტორი**
**სერგო ჯანაშია**

**ტელეფონები:**
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
**გაზეთის ინდექსი 66447**

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

**გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე**

**რედაქცია:** გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), **ზაზა ალადაშვილი** (კომერციული დირექტორი), **კობა კაპანაძე** (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), **თემურ კოზოლაშვილი** (რეალიზაციის განყოფილების გამგე), **კორესპონდენტები:** კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველაია.
**კორექტორები:** ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია


**გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ**